მწერლის გაზეთი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№11 (255)
1-31 დეკემბერი 2016
ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

რუსთველი – 850



ჩვენი ეროვნული სიამაყის, შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილე ჩატარდა 1937 წელს, 1966 წელს ირაკლი აბაშიძის თაოსნობით გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის 800 წლისთავის საერთაშორისო ზეიმი, 2016 წელს 850 წელი შეუსრულდა ჩვენს უკვდავ სულიერ პაპას...

დაიწყო 2016 წელი და ხელისუფლებას ვერ შევატყვეთ ვერავითარი დაინტერესება ამ თარიღით. რაკი „ზედა ეშელონებში“ (როგორც უყვართ ხოლმე თქმა) ჩამიჩუმი არ ისმოდა, რუსთაველის უშუალო მემკვიდრე ქართული მწერლობა იძულებული გახდა ა. წ. 21 აპრილს ხელისუფლებისათვის ასეთი წერილით მიემართა:

იუბილის ეხო

ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს მთავრობას
საქართველოს პარლამენტს

ბატონებო

მიმდინარე წელს იუნესკოს ეგიდით ტარდება შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილე.

ეჭვი არ მეპარება, რომ კარგად მოგეხსენებათ „ვეფხისტყაოსნის“ როლი ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ისიც კარგად გეცოდინებათ, რომ ჩვენი ხალხის უპირველესი განძი შოთა რუსთაველის გენიალური პოემაა.

მაშ, რას მივაწერო თქვენი ბეჯითი დუმილი და ფეხისათრევა მოახლოვებული ეროვნული დღესასწაულის მიმართ?

ჩვენი ეკონომიური სიდუხჭირის გათვალისწინებით ქართველმა მწერლებმა თქვენს წინაშე საიუბილეოდ ორი მოკრძალებული, არც თუ ძნელად შესასრულებელი, თხოვნა დავაყენეთ:

რუსთაველის პროსპექტზე გაგვეხსნა „რუსთაველის სახლი“, სადაც გამოიფინებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, ჩვენს უპირველეს წიგნზე არსებული მდიდარი მეცნიერული ლიტერატურა და დამთვალიერებელს საშუალება მიეცემოდა შეეძინა „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ენაზე. ამით საქართველოში კიდევ ერთი კულტურული კერა გაჩნდებოდა. ამ კერისკენ ტურისტები გზას გაიკვლევდნენ და მსოფლიო დაინახავდა, რა პატივს ვცემთ ჩვენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს.

შეგვექმნა კომპეტენტური კომისია მწერალთა და მეცნიერ–ტექსტოლოგთა შემადგენლობით, რომელიც რამდენიმეთვიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ მეტნაკლებად სრულყოფილ, დედანთან მიახლოვებულ ტექსტს და თქვენ, ხელისუფლება უზრუნველყოფდით პოემის საიუბილეო, სასაჩუქრო გამოცემას, როგორც ეს გააკეთეს საიუბილეო კომისიებმა 1937 და 1966 წლებში, ამით დამთავრდებოდა რუსთაველის ქმნილებაში არამკითხე „რედაქტორთა“ ხელის ფათური და გამომცემლობებს დაურიგდებოდა, სწორედ რომ, სანდო და ავტორიტეტული ტექსტი.

არც ერთი ამ ამოცანის გადაწყვეტ–გასრულებისთვის დღემდე თითი არ გაგინძრევიათ. უფრო მეტიც, დღემდე საიუბილეო ღონისძიების თარიღიც არ გამოგიცხადებიათ და საიუბილეო კომისიაც არ შეგიდგენიათ (ეს უკანასკნელი თუ საიდუმლოდ შეადგინეთ, დღემდე უჯრაში ინახავთ, რადგანაც გუმანით ვხვდები, მისი წევრები ოფიციალური წრეებიდან გეყოლებათ შერჩეული და არა იმათგან, ვინც „ვეფხისტყაოსანს“ სიცოცხლე შესწირა).

რა ხდება ბატონებო? რას მივაწეროთ თქვენს მიერ პირში წყლის ჩაგუბება?

გულუბრყვილო ბალღი არა ვარ და კარგად ვიცი, რა დღეშიც ხართ. ვხვდები, როგორ მოგახვიეს თავზე თქვენმა ოკეანისგაღმელმა პატრონებმა ყბადაღებული „კოჰაბიტაცია“, რომელმაც საქართველოში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობა დაამკვიდრა და რისი ბრალიცაა, რომ ჩვენი ეკონომიკა ადგილზე ბუქსაობს. არაერთგზის დავრწმუნდი, როგორ დახიეს თავზე ქართულ სასამართლოს მის მიერ მიღებული გაბედული (რაც იშვიათად ხდება) ორიოდე გადაწყვეტილება. ვხვდები, გულით გინდათ პროკურატურამ თაროზე შემოდებული საქმეები გამოიძიოს, მაგრამ ვერ ახერხებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამართალდამცავ ძალოვან უწყებებს ისევ და ისევ არამკითხე „მამიდების“ კარნახით „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების“ თამაშს ათამაშებთ. ვიცი, რომ დასავლეთიდან დაძრული წყეული ვეშაპი — გლობალიზაცია ეროვნული სულის გამომლევიძებელ ყოველ ნაბიჯს არაოფიციალურად გიკრძალავთ და იმასაც ვხვდები, ილიას და აკაკის იუბილის ჩატარებისას ჩვენი ტელეჟურნალისტი დაიკოები მორცხვად რატომ გვპასუხობენ: „იცით რა, ასეთი სიუჟეტები არ გვაინტერესებს“.

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ არა მგონია, ობამა გიკრძალავდეთ, რუსთაველის იუბილე არ ჩაატაროთ და მწერლებს სააკაშვილის მიერ წართმეული მწერალთა სასახლე არ დაუბრუნოთო.

ძვირფასებო,

ჩვენ, ქართველი მწერლები წაყრუებას და იგნორირებას მიჩვეული ვართ და კვლავ ავიტანთ, მაგრამ ამჯერად შოთა რუსთაველზეა ლაპარაკი: ჩვენს სალოცავ ლიტერატურ ხატზე, ერისთვის სახელისა და დიდების მომტან პოეტზე.

რასაკვირველია, ფრიად მოუცლელნი ბრძანდებით, მაგრამ საარჩევნო სიების შედგენის ბატალიებზე და ევროპიდან კარგახნის ჩამოწერილი მომღერლების 29 მილიონად ჩამოყვანაზე არანაკლები მნიშვნელობისა გახლავთ შოთა რუსთაველის 850 წლისთავის ღირსეულად ჩატარება.

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე
21.IV.2016 წ.

▶ 2 გვ.

▶ 1 გვ.

***

ამ „შეხსენებამ“ ხელისუფლებაზე დედის ნანასავით იმოქმედა, უფრო ჩააძინა იგი, ვიდრე რუსთველის საკითხში აქამდე ეძინა.

არავითარი პასუხი არც პრეზიდენტის, არც მთავრობის, არც პარლამენტის მხრიდან.

რაკი ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა, ეკონომიურად შევიწროვებულმა, უსახსროდ და უსასოოდ დარჩენილმა ქართველმა ხალხმა ეროვნული ინტელიგენციის თაოსნობით თვით აიღო ხელში რუსთაველის 850 წლის იუბილის ჩატარების ურთულესი საქმე და აი, რისი გაკეთებაც დღემდე მოვახერხეთ:

***

საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარმა ორგანომ „მწერლის გაზეთმა“ რუბრიკით „რუსთაველი 850“ წლის დადგომისთანავე დაიწყო საიუბილეო მასალების გამოქვეყნება და დღემდე არაერთი საყურადღებო მასალა დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ავტორები: რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი...

***

24 სექტემბერს მწერალთა კავშირის მესხეთის განყოფილების (ავთანდილ ბერიძე) და სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რექტორი მერაბ ბერიძე) ინიციატივით ვარძიის სანახებში გაიმართა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილე.

ზეიმი შესავალი სიტყვით გახსნა ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ლევან ცაბაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ: მაყვალა გონაშვილი, ბალათერ არაბული, თემურ ჩალაბაშვილი, დავით ტაკიძე, ვაჟა აზარაშვილი, გივი თოიძე...

ღონისძიება შთამბეჭდავი კონცერტით და „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსით დამთავრდა.

***

გაზეთმა „ლიტერატურულმა მესხეთმა“ რამდენიმე სპეციალური ნომერი მიუძღვნა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეს, რითაც ნათელი მოჰფინა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის არაერთ კარდინალურ პრობლემას.

***

ქუთაისში 25 სექტემბერს გაიმართა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელი სხდომა და გამარჯვებულ დებიუტანტ ლიტერატორთა დაჯილდოვება. კონკურსის ინიციატორები: საქართველოს საპატრიარქო, პოეტი ნიკოლოზ კურტანიძე და ლიტერატორი, ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე მესხორაძე.

***

დღემდე გამართულ საიუბილეო ღონისძიებათა ცენტრალურ მოვლენად იქცა 11 ნოემბერს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია.

კონფერენციის ინიციატორები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი, პროფესორები: იგორ კვესელავა და რევაზ მიშველაძე.

ფორუმი შესავალი სიტყვით გახსნა სტუ–ს პრორექტორმა პროფესორმა ლევან კლიმიაშვილმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ: მეუფე ანანია ჯაფარიძე, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, იგორ კვესელავა, დავით იაკობიძე, ედიშერ გვენეტაძე, დონალდ რეიფილდი (ინგლისი), ნომადი ბართაია, ვაჟა შუბითიძე, რაულ გვეტაძე, იმირ მამედლი (აზერბაიჯანი), ბადრი ცხადაძე, ჰენრი კუპრაშვილი, ლია მეტრეველი, ფარსადან მინაშვილი და თამაზ ნუცუბიძე.

***

საიუბილეო დღეებში კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული საქმე გაკეთდა:



დღის სინათლე იხილა „ვეფხისტყაოსნის“ ახალმა შევსებულმა და სრულყოფილმა გამოცემამ.

„ვეფხისტყაოსნის“ განახლებული ტექსტის რედაქტორი პროფესორი მურმან თავდიშვილი.

სარედაქციო კოლეგია: არჩილ ფრანგიშვილი, რევაზ მიშველაძე, იგორ კვესელავა, სოსო სიგუა.

წიგნი დაიბეჭდა სტუ–ს გამომცემლობაში ტექნიკური უნივერსიტეტის დაფინანსებით, რისთვისაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

***

რუსთაველის 850 წლისთავის საიუბილეოდ საქართველოს პანტომიმის თეატრი ფრიად გაისარჯა.

საქართველოს სახალხო არტისტმა, პანტომიმის თეატრის დამაარსებელმა დადგა უნიკალური სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“ (სცენარის ავტორი რევაზ მიშველაძე).

აღნიშნული სპექტაკლი პანტომიმის ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ამეტყველების პირველი ცდაა და იგი დიდხანს შერჩება ამ სახელოვანი თეატრის რეპერტუარს.

***



საიუბილეოდ გამოჩენილმა მხატვარმა ფარსადან მინაშვილმა გამოსცა „ვეფხისტყაოსანის“ მისეული ილუსტრაციების კრებული სახელწოდებით: „ვეფხისტყაოსნის დასურათება“.

***



საქართველოს მწერალთა კავშირმა „ავერსის“ თანადგომით გამოსცა 2017 წლის კალენდარი, დასურათებული ზურაბ ხაბაძის შესანიშნავი ილუსტრაციებით და „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებით სამ ენაზე – ქართული, რუსული, ინგლისური. პროექტის ავტორი, მაყვალა გონაშვილი.

***

ახალგაზრდა პოეტებისა და მხატვრების წიგნი „დრო ჩვენი პაემანისა“ ეძღვნება რუსთაველის 850 წლისთავს. პროექტის ავტორი ივანე კეზუა.

***

საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის ალმანახი „ხიდი“ რუსთაველის 850-წლისთავს ეძღვნება. გამოცემის მთავარი რედაქტორი ანაიდა ბოსტანჯიანი.



***

ჯერჯერობით ეს გახლავთ ის მწირი გამოსავალი, რაც საქართველომ რუსთაველის 850 წლისთავის საიუბილეოდ მოიმკა.

სამწუხაროდ, არაერთი რაიონის ხელმძღვანელობა გულგრილი აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ღვაწლისადმი ქართული კულტურის წინაშე, ხოლო თელავის გამგეობამ მაინცდამაინც წელს არ ჩაატარა ტრადიციული „შოთაობის“ დღესასწაული, რომელიც ლამის 50 წლის განმავლობაში იმართებოდა იყალთოში.

***

ძვირფასო მკითხველო!

საინიციატივო ჯგუფს (მწერალთა კავშირი, მხატვრული და სამეცნიერო ინტელიგენცია) გადაწყვეტილი აქვს 20 დეკემბრამდე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართოს რუსთაველის 850 წლისთავის გრანდიოზული საიუბილეო შემაჯამებელი საღამო.

ამისათვის ხელისუფლებისგან მოვითხოვთ მხოლოდ ერთს: სამიოდე საათით დაგვითმოს ოპერის თეატრი.

დანარჩენს ყველაფერს ჩვენ ვუზრუნველვყოფთ, ჯერი შენზეა, საყვარელო მთავრობავ. კარგს იზამ, თუ საარჩევნო ბატალიებს რუსთაველსაც არ გადააყოლებ.

დავით შემოქმედელი

***

,,(რუსთველი იყო) მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა".

ტიმოთე გაბაშვილი
XVIII საუკ. მოგზაური და მწერალი

ტიმოთე ბატონო! ამდენი ბოროტება,
საიდან სადაო, ენისგან უთქმელი,
ქართველთა რწმენა და ქართველთა ბიბლია,
ქართული საოცრება - რუსთველი.

რისთვის იგლოვიან ფრესკები დაკორტნილი,
კაენის ცოდვით თუ ცრემლებით კოლხთა,
და მონაზონივით ეტრატს დაჩოქილი,
ვისთვის ლოცულობდა შოთა.

ტიმოთე ბატონო, თენდება, ბინდდება,
კარებთან ხარხარებს მტერი,
ქართველი კაცი რომ
მტრად მოგეკიდება,
ქართველი კაცი რომ
ქართულ სულს დაწიხლავს,
ქართველი კაცი რომ
გვერდით ვერ გაგიტანს,
საფლავშიც ზეიმით ჩაგფლავს
და ჩაგიტანს,
მაშინ იღუპება ერი!

ნინო სიხარულიძე

რა მითხრა „ვეფხისტყაოსანმა“

წელს პირველად დავესწარი „შოთაობას“,
პირველად ვიხილე ვარძია. მადლობას
ვწირავ უფალს ამისთვის.

გადამივიწყე?
გამიუცხოვდი?
ჩემთან შეხვედრა აღარ გაღელვებს...
ნუთუ, არასდროს, ნუთუ, არავინ
ახსენებთ ჩემთა გმირთა სახელებს.
მეთორმეტედან ოცდამეერთეს კარიბჭემდე
შორია, ვიცი,
შენი სიცოცხლის ხეს სხვაგვარი
არხევს ქარები,
არც სიტყვა შეგრჩა საიმედო
და არცა ფიცი,
ათასი ეჭვით დასეტყვილი დაიარები
და მუხას ისევ დახვევია
მუმლი საზარი,
შენ კი დრომ ტანზე შემოგადნო
ჯაჭვის პერანგი,
მკვდრეთით აღდგომას აგვიანებს
რადგან ლაზარე,
გალაღებული დაბრძანდება
მტერი ვერაგი.
აღარსად – ჩემი „ნიკოფსიით დარუბანდამდე“,
აღარსად – ჩემი ჩალისფერი დროშების ჯარი,
თითქოს არასდროს ყოფილიყოს ძლევა დიდგორის,
თითქოს შამქორით არ შეგვეღოს დიდების კარი –
ოცდამეერთეს კარიბჭესთან უმწეო ჩანხარ,
დამცრობილი და მტერ–მოყვარის ვერაფრით მცნობი,
გიხმობ და გელი, დამიბრუნდი!
მე ისევ ის ვარ:
განა დავბერდი, განა გულზე მომედო ობი.
ისევ ისა ვარ,
რაიც იშვა რუსთველის კალმით,
„ანით“ „ჰაემდე“ აციაგდა
პწკარებად რაიც,
მეც არაერთხელ ამიშარდა
მოშურნე ავი,
ძერასებრ მკორტნა,
მაგრამ ვერა დამაკლო მაინც;
გიხმობ და გელი, დამიბრუნდი!
მომანდე თავი,
შეავსე სულში გაჩენილი სიცარიელე,
ხომ კარგად, იცი, რაა შენი საკეთებელი:
იავთანდილე!
იტარიელე!
ითინათინე!
ინესტანე!
იშერმადინე!
კმარა, რაც მფარველ ანგელოზებს ცრემლი ადინე.
კმარა, რაც თავგზა აგირია ბილწმა ბაცილმა,
მარა, რაც სცოდე უღირსისგან პატივაყრილმა!
ჩემში ქართული მზე ჩამტკბარა ქართული ციდან,
ამაზე მეტი საოცრება სხვა რაღა გინდა...
ერთიც იცოდე: არ დაცლილა სიბრძნის სალარო,
ვერვინ შეიძლებს, რუსთაველი დაასამაროს
და შენც, ქართველო,
მანამდე ხარ მხოლოდ ქართველი,
გულში გინთივარ სანამ,
როგორც თაფლის სანთელი.
გულში გინთივარ,
რაც არ უნდა მიქროდნენ წლები,
გულში გინთივარ,
რაც არ უნდა გვმტრობდეს ტაროსი,
მე მარტოოდენ წიგნი არ ვარ –
რწმენა ვარ შენი,
სინდის–ნამუსი,
სულის ფრთები
და ავგაროზი.

ციური თარგამაძე

რუსთაველს

საუკუნენი გაფრინდნენ მზისკენ,
შენი სწორი კი ჯერაც არ იშვა,
რამ გალტოლვილა შორეულ გზისკენ,
რა ტკივილებმა დაგაქარიშხლა?!
ალბათ უღელად დაიდგი ვალი,
როს სულში ქარი გლეწდა საშინლად,
გბოჭავდა კრძალვა უშორეს ქალის,
ვისთვისაც ტანჯვამ ვერ შეგაშინა.
იქნება მწარე ცილი დაგწამეს,
ბრბოს უთითებდნენ, „უღვთო კაცია“,
სულთა მწვერვალი სულით გაწამეს,
როდესაც ყველამ ზურგი გაქცია...
დრო ტკივილისთვის იყო პატარა,
წლებმა რამდენი ცრემლი მოთოვა,
მუხას მოწყვიტა, სად არ ატარა
ქარმა, დევნილი სული ფოთოლად.
გადაიკარგე ვარსკვლავი, ნისლში...
რაინდად დარჩი უთქმელ ცრემლშიაც,
მწარედ დაჭრილხარ საწუთროს ისრით,
მაგრამ კაცობა არსად შეგშლია.
არ შეგპარვია სულში სიმცირე,
არ დაგითმია სავალი ძნელი,
ვერსად დაგწონა ოქროს სიმძიმემ,
თუმც კეთილს მუდამ ებრძოდა ბნელი.
ნუთუ არ შეცბი ჭრილობის მალვით,
რა ცეცხლს აკმევდი გზნებას სულისას?!
შენ წერდი სისხლით და არა – კალმით,
სუნთქვას ატანდი გაზაფხულისას.
უძლებდი უთქმელ ტკივილებს უხმოდ,
არ უდრკებოდი საწუთროს ქუხილს,
იბრძოდი, გულში დაჭრილი უხმოდ,
ქედს არ უხრიდი სევდას და წუხილს.
გულს გაჩნდა მშობლის ხსოვნა ნათელად,
და საქართველოს ნატვრა – დიდ დარდად,
თამარი გენთო სულში სანთელად,
ულამაზესად სულ რომ გიყვარდა.
ლექსის მეუფე, დიდსულთა მეფე,
გმირობისადმი მომდრეკი მუხლის,
შენ მიელუსმნე უცხო მხრის კედელს,
სანთელ–საკმეველს და ლოცვას მწუხრის.
სული, დამდნარი რაინდულ გზნებით,
და სიყვარულით,... მიყუჩდა, მიწვა,...
არ წაიშალა ხსოვნაში გზები,
და საფიცარი ქართული მიწა.
სიბრძნე მაინც ვერ გაგინადგურა,
თუმც გრიგალივით ჟამი გირტყამდა,
მერე ჩაიწნა, ჩაისადგურა
სიტკბოებაში ქართულ სიტყვათა.
ღვთაებრივ სიბრძნის, ღვთაებრივ გულის
ნაჟურს, წიგნიდან, საგზლად აგზავნი,
დღემდე მოგვყვება კაცობრიული
წყურვილებისათვის, შენი საგზალი.
როდემდის არვინ მოგესალბუნა
წყაროდამშრალს და ყვავილმოცელილს!
როდემდის ჟამმა შხამი გარგუნა,
გულისგულს გფლეთდა ჟამი–ფოცხვერი!
როდემდის იყავ ფიქრით დანთქმული,
არსთა მხატვარო, გულთა მწერალო,
რაინდთა მეფევ, კაცთა მწვერვალო?!
ტკივილი გქონდა წარუხოცელი,
სამშობლოსა და ღმერთის ზვარაკად,
დაჩოქებული იყავ მლოცველი,
დარჩი ლეგენდად, ლამაზ არაკად,
სიკვდილმაც ბრძოლით გაგაგულისა
და სარეცელში გერგო ჩაწოლა?
ვინმემ თუ იგრძნო შენი სულის ცა,
ან ღვთიურ გულის განძი აწონა?
ვინ იყო შენთან, ვინ გედგა თავთან,
ვინ დაგიყუჩა ბოლო წამები,
დედას ვინ ჰგავდა, თამარს ვინ ჰგავდა,
ვის ანდე სული განაწამები!
ვინ გაგახსენა ჭაღარა მთები,
წყალი ვინ გასვა, ვინ დაგაპურა,
ვინ დაგიკეცა საფრენი ფრთები,
ვინ, ერთადერთმა, ცრემლი გაპკურა!
ვინ მოგაგონა წყარო მამულის,
წყურვილთა ზღვაო, ზღვაო გრძნობათა,
ქართული ცა და მიწა ქართული
ვინ დაგაკონა გულზე ნობათად!...
გერგო სიკვდილთან დარდის გამხელა,
გულში იკრავდი ლოცვანს,... „ტყაოსანს“,
თუ საქართველო ერქვა სახელად
ლანდად მუხლმოყრილს – აჩრდილს, შავოსანს.
დიდხანს გიჭირდა „უავთანდილოდ“,
„უტარიელოდ“, გევლო გზაგრძელი,...
აღსასრულამდე, უსიყვარულოდ,
უსაქართველოდ, როგორ გაძელი?!

შოთა მებუკე

შოთას მხარეო!

შენ ჩემო ლამაზო შოთას მხარეო,
მეცი პატივი გამახარეო,
ლაჟვარდებს მიეც სიბრძნის ტალღები
ახალ წლის დილით მეც გეახლები.
    დავლოცოთ შოთა დიდი რუსთველი
    დავითის საქმე ენით უთქმელი,
    გონება დავდოთ სიბრძნის სადუღარს
    ზურგი ვაქციოთ ყველა სამდურავს.
ვაშენოთ ქვეყანა ვამაღლოთ წინსვლით,
რომ არა ვჭამდეთ არც ერთი სირცხვილს,
ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ, ვისთვის? მისთვის
რომ არ მოაკლდეს საფქვავი წისქვილს.
    ვესწრაფოთ სიბრძნეს გონებას მახვილს
    ვადიდოთ ქვეყანა, ეს ბრძენი ხალხი,
    ის არ ვაკეთო, რაც არად არ ღირს
    ვისწრაფოთ იქეთკენ, ვინც არის კარგი.
ვაკეთოთ, რაც კი სამშობლოს არ ვნებს
აღმავლობისკენ რაც მეტად არგებს,
რაც არგებს ერს და მამულიშვილებს,
რაც ჯანსაღ ქვეყანას მისცემს სიმშვიდეს.

გოჩა ხარანაული

წერილი რეზო მიშველაძეს,
ანუ ყველაზე დიდი ომი!

***

რაც ვწერე, ვწერე სულ სისხლით,
სისხლს ლექსად გადავცემდი...
ხან საკუთარ ძმებს ვუხსნიდი
ხანაც მტრების ძმებს ვცემდი!

ხან მიმტრეს ქონდრის კაცებმა,
ხან გამიგორეს კვერცხი...
ვერ შეძლეს უფლის გაცემა –
ჩემგან, აღება ვერცხლის!

მე სხვა უფლება არ მქონდა,
უნდა მექნია ხმალი,
დღევანდელ დღეს რომ მართმევდნენ
დარდი მახრჩობდა ხვალის!

ხან ციხე ვიყავ ბირთვისის,
ხან ვიყავ ციხე ლორე,
სამშვილდეს მშვილდი მოვზიდე
მრავალი დავაგორე!

შემომიარეს სხვა მხრიდან
მოედევნენ შვილს და ნაგრამს,
ჩვენი ციხე და სიმაგრე
ოჯახი არის რადგან!

ვაჟი ქალად სურთ გვიქციონ
ნეზვს კვერთხი მისცენ ვაცის...
მე კი მინდოდა ოცნება
არ ამხდარიყო ნაცის!

მტერი მოდის და მომძლავრობს
სურს საჩემოდან გავქრე,
ჩემო ძმაო და მოძღვარო,
„ფრაკისკენაა“ საქმე.

ბაგე ვით დაიკოცნება,
თუ გული დარჩა სახტად?
არ ახდა ჩემი ოცნება!
ქაჯთა ოცნება ახდა.

კვლავ უნდა მოვლეს–მივლესო
მოყვასი მხარში მდგომი!
მომაგებინე იესო,
ყველაზე დიდი ომი!

სიკვდილს!

ბრძანა უფალმა: „იქმნეს ნათელი
და დაფარული გახდეს საჩინო“
–შენ, მიღებული კარზე სიცოცხლის
რა ნიშნით უნდა აღმოგაჩინო?!
რაგვარ ჭიუხვთა გზები დავლახო,
რაც უფრო ვცოცხლობ ვკვდები მით უფრო,
ვით გაგაცურო და გავაგლახო
ან რა ხრიკებით გაგაბითურო?!
მომსვრელო, ყოვლის ამომშანთველო,
არსის ყოველის მაინც მშობელო,
ჯამბაზთა შორის უჯამბაზესო
აღურიცხველი ნიღბის მფლობელო!
დარღვეულო და შემომტკიცულო,
გიჟო, შმაგო და ბრძენთა უფალო,
თავის შენისვე ყმავ ყურმოჭრილო
თავით შენითვე თავისუფალო!
სად მისაფრდები, რა მანქანებით
ვის იმსახურებ, ან რას მსახურობ,
მტვერთა მრავალთა გარდაქარებით
მატლიდან კვირტში გარდასახულო!
ქმნით და არას ქმნით არ დაღალულო
კითხვის ნიშანო, ტირევ, წერტილო,
მიმოქცეულო, მიმოღვარულო,
ამოვსებულო და დაწრეტილო!
ბრძანა უფალმა – იქმნეს ნათელი
და დაფარული გახდეს საჩინო,
შენ! მიღებული კარზე სიცოცხლის
რა ნიშნით უნდა აღმოგაჩინო!

***

ზოგი წივის, ზოგი გალობს,
ზოგიც ხაფანგს ამზადებს,
ზოგიც ცოცავს, ხოხავს, წვალობს,
ზოგი მიაზანზარებს.
დღეღამე ერთად მინახავს
გული გამჩერებია,
სადღაც დამპალ ჭაობებთან
ბროლის ჩანჩქერებია,
ვიღაცა მე მელოდება
ბრძენი თუ იდიოტი,
ვიღაც რომ არ წასულიყო
მე როგორ მოვიდოდი?!
ვიღაც კალამს სისხლში აწებს,
სხვა მკერდს ღოღნის ვნებიანს,
ყველაფერი, ყველაფერი...
უფლის ოინებია!

***

ასე და ამგვარად, ჭაობიც დამდგარა.
მზეი ჩაწოლილა და აღარ ამდგარა,
ცარგვალიმოქუხდა რისხვად და დგანდგარად,
სისხლი გაყინულა და აღარ გამდნარა!
ცვედანის სიზმარი ვაი რომ ამხდარა,
ლიბო მორღვეულა, ვენახი წამხდარა;
ქათმისთვის გალია, ლომისთვის ქანდარა,
„ასეა საჭირო“, „იქ არა!“ , „მანდ არა“!
ტევრი გაჩეხილა, მოსისხლე დამტკბარა,
კუტი გამოსულა ნამხრევის გამტანად.
თვალებში ქაჯი და ეშმაკი ჩამხტარა,
მადლიან ჭურებში ცრემლები ჩამდგარა.
ისარი გამცვდარა და მიზანს ამცდარა,
ნიკორა გამხდარა, გუთანი გამცდარა,
ხურმასთან ვირი და საყდარში მასხარა,
ცისკარას კერაზე დევები დამსხდარან!
ჩოხა ჩაკუწულა, ფიალა გამტყდარა,
თვალსა და თვალს შორის შოშობი ამტყდარა.
მზე ავად გამხდარა!
მზე ავად გამხდარა!

***

მესიზმრებიან მიწები,
ტაძრები, ნასაყდრალები,
ბოღმის კოცონზე ვიწვებით
ჩვენივე შხამით მთვრალები,
მესიზმრებიან ვაზები,
ჩუქურთმად მიმოხლართული,
ვაზები რა ლამაზები
სუნი რომ ასდით ქართული!

სამშობლოს

გახალისდნენ მინდვრები და ზამთარიც ილევა.
აპრილიო! – მომძახი. მე რა მეაპრილება?!
ჭრილობები შეგიკრავს ჩუმი ცრემლის ღილებით,
გულში ჩასახუტებლად მუდამ დაგეღირები,
საფლავებთან ვტირი მე, უსახლკარო კაცივით.
შენი ფესვის ჭირიმე სისხლისაგან დაცლილის,
წაჩოქილი ამგვარად, დაქცეული თაღებით,
როგორ მეტკბილმწარები, როგორ მეამაყები!
ვაი, როგორ მიყვარხარ და რაოდენ ვიზრდები
ბრიყვებისთვის შეუცნობ ასახდენი სიზმრებით!
როგორ ვერ გაუგიათ მრუდე მოდებ–მიდებით,
რომ შენ არ ხურდავდები, რომ შენ არ იყიდები!
მაგ მოჭრილი ძუძუდან სისხლის დაგდის რუები,
მაინც გეწაფებიან, ო! ეს უმადურები!
ჩემო მარადიულო ტკივილო და ვაებავ,
ვერა ძალამ ვერ შესძლოს შენი ამოთავება!
ვიდრე ინათლებიან ბულბულები ვირებად...
მე არ მეაპრილება,
მე არ მეაპრილება!

„სიცოცხლისათვის მზად ვარ“

ბევრს უცაბედი ტყვიით თავის აჰხადეს ქალა,
ბევრს სამარეში ჩაჰყვა ფრენის ნიჭი და ძალა.
ბევრი მოახრჩვეს ბნელში, გამოუყვანეს წირვა,
ბევრსაც აპრილის თვეში სისხლის ადინეს წვიმა.
ბევრს უცხო მიწის ხნულში ობლად სამარე უძევს,
ბევრი მოჰგლიჯეს გულში თავის ფესვსა და ფუძეს!
რატომ, უფალო! რატომ! შე... საყვედურის ღირსო,
გროშის ფასი აქვს ლექსსო, ჩალად პოეტი ღირსო.
და... ხშირად მინგრევს ბედი სასოებისას ტაძარს,
თავს ვეუბნები: „ამ ჯვარს შენ ვერასოდენ დაძრავ,
დათვს აქოთებულს ეყმე, ბაბა ეძახე, ხან ძმა,
ან დაეხსენი ნებით ყოფნის ცოდვიან ხანძარს.
რომელიგმირი მე ვარ, აღსდგეს გვარი და თემი,
არ დაწყებულა ჩემით, არც დამთავრდება ჩემით“
და უცებ, ვიღაც: „ბრიყვო“ გულში თუ გულის იქით,
შემაიმედებს ჩუმად, შემომიკურთხებს რიხით,
გამახსენდება შოთა, გამახსენდება ვაჟა,
მისი დავსილი თვალი, მისი ღვთიური მაჯა,
გამახსენდება მერე დოინჯიანი გალა...
ბალღისთვალება ტერე... მოხეტიალე ცალად,
ყაყაჩოსფერი სისხლით მიმონაწვიმი ყანა,
გამახსენდება მუხრან, გამახსენდება ანა,
და ვეღარ მცნობი თავის ვკითხავ ყველა
ჯურს ამას:
„შემომთავაზებთ რამეს საქართველოზე ლამაზს?“
ჰეი! არ დაგცდეთ ძვირი, ჩვენს თავს
ვუწამლებთ თავად,
ჩვენი სამშობლო მხოლოდ ცოტა ხნით არის ავად!
და უკუქცეულ სიკვდილს, რომ გამომტაცა ყელი,
მოსდის ცხვირიდან ძმარი, ბოღმა და
გესლი ცხელი,
ნიჭის ქართულის მიკვირს, ბედი
ქართულის მზარავს,
წიხლით მივკივი სიკვდილს:
„სიცოცხლისათვის მზად ვარ!
სიცოცხლისათვის მზად ვარ!“

იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის გაჯეროვნებული ისტორია

გიორგი სოსიაშვილი,

მწერალი, პროფესორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

სტანდარტულ რეცენზიას, ალბათ ასე დავიწყებდი, როგორც იწერება ჩვეულებრივი სარეცენზიო სტატიები: საისტორიო წრეებში კარგად არის ცნობილი პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის სახელი...თუმცა ვინაიდან წინამდებარე წერილი არაჩვეულებრივი ღირებულების მქონე წიგნის ავტორს ეხება, რომლის სახელიც დიდი ხანია ამშვენებს ქართული ისტორიოგრაფიის ცოცხალ კლასიკოსთა გალერეას, ასე დავიწყებ: ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის ესოდენ ძვირფასია პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის სახელი. მის ბიბლიოგრაფიას, რომ გადახედო, მის ნაშრომთა სიუხვეს, კვლევის სიღრმესა და დიაპაზონს, გაოცდები! ელდარ მამისთვალიშვილის სახელი კარგა ხანია უნდა ამშვენებდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. თუმცა ამაზე სხვა დროს დავწერ...და მაინც, სხვა საუკუნეში, ეპოქაში, როდესაც ძალზე ძნელია ადამიანები რაიმეთი გააკვირვო, როდესაც კაცობრიობას ახალი პლანეტების აღმოჩენა-დაპყრობები აღარ უკვირს, რით დაიმახსოვრა ელდარ მამისთვალიშვილმა ის, რომ მის ღვაწლს, მის პიროვნებას, მის არსებობას გასაოცარი ვუწოდე. ელდარ მამისთვალიშვილი არის აწონილი სიტყვის მეცნიერი, ელდარ მამისთვალიშვილი არის ჩვენი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მეტრი, ელდარ მამისთვალიშვილი არის ფუნდამენტური ნაშრომების (მონოგრაფიების, სტატიების, სახელმძღვანელოების ავტორი), ის ჭეშმარიტად დიდი მეცნიერია, მეცნიერებას შეწირული მკვლევარი, თავმდაბალი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პროფესორი, რომელმაც ცხოვრება საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების კვლევას მიუძღვნა და ამ კვლევებით, საწერ მაგისთან დაფერფლილი ღამეებით არაერთი „მარგალიტი“ შექმნა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: „ქრისტეს კვართის ისტორია,“ რომელიც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს, თუ „გორის ისტორია“, რომელიც ყველა შიდა ქართლელს სასთუმალთან უნდა ედოს, „ქართველ ებრაელთა ისტორია“, რომელიც ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის ძეგლია, თუ „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატიის“ მრავალტომეული, რომლის მსგავსი უზარმაზარი სამეცნიერო ტილო, ჩვენი ქვეყნის როლსა და ადგილს რომ წარმოაჩენდა საერთაშორისო ურთიერთობებში ჯერ არ შექმნილა, ამ ნაშრომის მთავარი დამფასებელი, დიახ მთავარი დამფასებელი დრო იქნება, თაობები იქნება. ელდარ მამისთვალიშვილი თუ აწევდა ამ უზარმაზარ საჯილდაო ქვას, მას „ძალა შესწევს ქადილისა“.

ეს წიგნები არასოდეს არ დაკარგავს თავის ფასს და მნიშვნელობას. მან ეს კარგად იცის, მან იცის ჭეშმარიტი მეცნიერების ფასი. ამიტომაც ყოველი მისი ნაშრომი გამოირჩევა განსაკუთრებული ფაქიზი მიდგომით წყაროებისადმი. მის ვერც ერთ სტრიქონში ვერ იპოვი ემოციას, რომელსაც ხანდახან დაღვინებული, ცნობილი მკვლევარებიც ვერ აღწევენ თავს. ისტორია ხომ „ჭეშმარიტების მეტყველება არს“. ხანდახან მიფიქრია, რომ არ ეღვაწა ელდარ მამისთვალიშვილს ქართულ ისტორიოგრაფიაში და სხვა დარგი აერჩია, რამდენ რამეს დაკარგავდა ჩვენი საისტორიო მეცნიერება. მან საქართველოს ისტორია ისეთი წყაროებით გაამდიდრა, ისეთი უცხოური მასალები შემოიტანა, რომლითაც ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი ფაქტი შეიცვალა, მოვლენათა ახლებური ინტერპრეტაციის სხვა გზები დაისახა და ამ მხრივ ახალი თაობის ბევრ მკვლევარს გაეხსნა გზა. ელდარ მამისთვალიშვილის მრავალრიცხოვან გამოკვლევათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უცხოეთში არსებულ ქართულ სავანეთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერაზე—იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის შესახებ დაწერილი მონოგრაფია: „იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი“, დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო წრეების, თუ მკითხველთა ფართო წრის მხრიდან არსებული თხოვნის შესაბამისად იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ისტორია სამჯერ გამოიცა. ბოლო, შევსებული გამოცემა, რომელიც 2016 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოქვეყნდა, 16 თავისაგან შედგება. ტექსტს ერთვის ვრცელი ინგლისური თარგმანი, ფრესკების და წარწერების ფოტოები, მონასტრის ფოტო-მასალა, რომელთა ერთი ნაწილი ავტორს ეკუთვნის, წიგნს დართული აქვს ასევე ბიბლიოგრაფია და საძიებლები. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი მასშტაბის მონოგრაფიული გამოკვლევა, არათუ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერზე, არამედ უცხოეთში არსებული არც ერთი სამონასტრო კერის შესახებ დღემდე არ შექმნილა. ავტორს არ დარჩენია წმინდა მიწაზე ქართველთა მონასტრის ირგვლივ არსებული რომელიმე წყარო (დოკუმენტური, თუ ნარატიული), როგორც ქართული, ისე უცხოური (რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ლათინური), ბიბლიოგრაფიაზე თვალის გადავლებაც კი საკმარისია, წარმოდგენა შეგვექმნას რა წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზას ეყრდნობა პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი, რომელიც მთელი სისავსით და სიზუსტით წარმოგვიდგენს ჯვრის მონასტრის ისტორიას მისი დაარსებიდან ქართული პერიოდის დასასრულამდე, როდესაც ქართველებმა დიდი რუდუნებით აგებული და საუკუნეების განმავლობაში სისხლით და ოფლით შენარჩუნებული ქართული სულიერების და მწიგნობრობის ეს დიდი კერა საბოლოოდ დაკარგეს. მონოგრაფიის პირველი გამოცემის შემდეგ, როგორც წიგნის შესავალშიც აღნიშნავს, ავტორისათვის ხელმისაწვდომი გახდა ზოგიერთი მანამდე უცნობი წყარო, რამაც პროფ. ელდარ მამისთვალიშვილს წიგნის გადამუშავების და შევსებისკენ უბიძგა. როგორც ავტორი წერს: „მკითხველისათვის ცნობილია, რომ დაახლოებით ათი წლის წინათ ამავე სათაურით გამოვაქვეყნე მოკრძალებული გამოკვლევა, იმდენად მცირე ტირაჟით, რომ სულ მალე იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა, მაგრამ ეს არ არის ის მთავარი, რამაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის ხელახლა დაწერა და გამოქვეყნება გადამაწყვეტინა. პირველი გამოცემის შემდგომ გასული დროის განმავლობაში ცნობილი გახდა ჩემთვის ახალი, ზოგიერთი წერილობითი წყარო, ხელმისაწვდომი გახდა როგორც სამამულო, ისე უცხოური მნიშვნელოვანი გამოკვლევები. ამ გარემოებამ მთელი რიგი დებულებების სხვაგვარად გააზრების, გავრცობისა და შესწორების საშუალება მომცა“.

ალბათ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა მონასტრის ისტორიას ავტორი პეტრე იბერის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თავით იწყებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, უცხოეთში მოღვაწე უდიდესი ქართველი ფილოსოფოსის და საეკლესიო მოღვაწისადმი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებია დაწერილი. შესწავლილია მისი ფილოსოფიური ნააზრევი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბიზანტიის სატახტო ქალაქსა და შემდეგ უკვე პალესტინაში მოღვაწე უდიდესი ქართველი მოღვაწის შესახებ ასეთი სრულყოფილი პორტრეტი დღემდე არ დაწერილა. ავტორმა პეტრე იბერის ბიოგრაფების, ასევე სხვა უცხოურ წყაროებსა და გამოკვლევებზე დაყრდნობით ნათლად წარმოაჩინა ქართველი უფლისწულის ბიოგრაფიის დაზუსტებული შტრიხები, პეტრე იბერის მონოფიზიტური აღმსარებლობის უტყუარობა. წმინდა მიწაზე მისი მოღვაწეობის ბევრი უცნობი ეპიზოდი, პეტრე იბერის გარდაცვალების და სამუდამო განსასვენებლის ბევრი უცნობი დეტალი. ელდარ მამისთვალიშვილის გამოკვლევით სწორედ პეტრე იბერის სახელს უკავშირდება წმინდა მიწაზე არაერთი ქართული მონასტრის დაარსება. ავტორი არსებული წყაროების სწორი მეცნიერული ანალიზით დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ პეტრე იბერის მიერ დაარსებულ მონასტერთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს. მკვლევრის აზრით, სწორედ ამის შესახებ მიუთითებდა პეტრე იბერის მოსწავლე და ბიოგრაფი ზაქარია რეტორი, როდესაც წერდა: „წარვიდეს უდაბნოდ და შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავისა თვსად“. ეს ადგილი გადაიქცა შემდეგ პეტრე იბერის სამუდამო განსასვენებლად. მაიუმში გარდაცვლილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე ავტორის აზრით, აღსრულებიდან ერთი წლის თავზე ჯვრის მონასტერში გადაასვენეს. არგუმენტირებული მსჯელობით, არსებული წყაროების გააანალიზებით ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ წმინდა მიწაზე სამონასტრო ცხოვრება ქართველებს პეტრე იბერის გამოჩენამდე ჰქონდათ დაწყებული და სრულიად რეალურია გადმოცემა იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ მირიან მეფის დროს ქართველებს „ზეციურ ქალაქში“ მიწა შეუძენიათ. გადმოცემებსა და შედარებით გვიანდელი პერიოდის წყაროებში დაცულ ცნობებს არქეოლოგიური მასალაც დასტურებს (იგულისხმება 1934 წელს იერუსალიმში, ძველი ქალაქის კედელთან, სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩენილი წინა საუკუნეების საფლავები, საფლავებს შორის იყო ბერძნულ წარწერიანი „იბერთა მიერ დავითის კოშკთან მოპოვებული მონასტრის ეპისკოპოსის სამუელის საფლავი“,

ასევე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ზეთისხილის ბაღში მიკვლეული ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით დათარიღებული კატაკომბები, რაც ქართველ მონაზონთა საძვალე უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ იმ ადგილზე, სადაც ქართველებმა ჯვრის მონასტერი ააგეს, გადმოცემის თანახმად ბიბლიური აბრაამის ძმისწულმა ლოტმა სამი ხე დარგო, რომელიც შემდეგ ერთ ხედ გადაიქცა (მონასტერში ამ ხის დარგვის და შემდეგ მისი მოჭრის ამსახველი ფრესკებია დაცული), სწორედ ამ ხისგან შექმნილ ჯვარზე გააკრეს მაცხოვარი. მონასტერს სახელიც სწორედ აქედან დაერქვა, ამ გადმოცემის გარდა ავტორი, სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, ფრთხილ, თუმცა ჭეშმარიტებასთან ახლოს მყოფ თვალსაზრისს გვთავაზობს. კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში ჩასულმა პეტრემ არაერთი სიწმინდე ჩაიტანა, მათ შორის იმ ჯვრის ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს. როგორც პროფ. ე. მამისთვალიშვილი წერს: „იოანე რუფუსის თხზულებაში არის გადმოცემა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია პეტრე იბერის სახელთან. პეტრემ იმპერატორის სასახლიდან გაქცევისას წმ. მიწაზე ჩაიტანა იერუსალიმელი ხუცებისაგან კონსტანტინოპოლში შეძენილი ჯვარცმის ჯვრის სასწაულმოქმედი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის წმ. ჯვართან დაკავშირებული უადრესი ლეგენდა, ან ლეგენდათაგან ერთ-ერთი. შეიძლებოდა იგი გადაქცეულიყო მონასტრის დაარსების თეორიულ საფუძვლად“. ქართულ ისტორიოგრაფიაში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებლად გიორგი-პროხორე შავშელი იყო მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ პირველი ვინც ჯვრის მონასტრის ამგებად გიორგი-პროხორე მიიჩნია ა. ცაგარელი იყო. შემდეგი თაობის მკვლევარები კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი, ლ. მენაბდე, თ. მგალობლიშვილი, სნორედ გიორგი-პროხორეს თვლიდნენ ჯვრის მონასტრის ამშენებლად. ე. მამისთვალიშვილმა მის ხელთ არსებული წყაროების (ქართულ ხელნაწერებზე დაცული მინაწერების) ახლებული ანალიზით დაადგინა: XV საუკუნის 30-50–იან წლებში ჯვრის მონასტერი კი არ ააშენეს, არამედ აღადგინეს. მონასტერი, მკვლევრის აზრით, ორმა პიროვნებამ აღადგინა, მონასტრის აღდგენა დაიწყო წინამძღვარმა გიორგიმ და დაასრულა მეორე წინამძღვარმა პროხორემ. მონასტრის აღდგენა დაიწყო XV საუკუნის 30-ინ წლებში და დასრულდა 50-იან წლებში. სამწუხაროდ, მყარი არგუმენტებით დასაბუთებული დასკვნის მიუხედავად, სხვადასხვა სახის გამოცემებში (მათ შორის ენციკლოპედიურ ცნობარებში) დღემდე არ იცნობენ პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის გამოკვლევას და ჯვრის მონასტრის ამშენებლად კვლავ გიორგი-პროხორე შავშელს მიიჩნევენ, რაც ბუნებრივია არასწორია და წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა ამ დიდი სავანის ისტორიას ჩრდილს აყენებს. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა ჯვაროსნების ურთიერთობას წმ. ჯვრის მონასტერთან. ცნობილია, რომ 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. წმინდა ქალაქში არსებული ბრძოლების შედეგად, როგორც ჩანს ჯვარი დაზიანდა, როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს ანგლოსაქსმა მოგზაურმა ზევულფმა 1102-1103 წლებში ჯვარი გაძარცვული და დაზიანებული ნახა. თუმცა, მონასტერი მალე აღუდგენიათ. მკვლევრის მითითებით, 1106-1108 წლებში რუსმა პილიგრიმმა დანიელმა ჯვარი განახლებული სახით იხილა. როგორც ე. მამისთვალიშვილი წერს: „სავარაუდოა, ჯვრის მონასტრის აღდგენა განახორციელეს დავით აღმაშენებლის უახლოესმა თანამოღვაწეებმა - იოანე საფარელმა (ქართლის კათალიკოსი) და არსენ იყალთოელმა (დავითის მოძღვარმა)“. წმინდა ქალაქში მცხოვრები ქართველობა, ე. მამისთვალიშვილის აზრით მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმში მყოფ ლათინელებთან. მკვლევრის დაკვირვებით, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 1155 წელს წმ. ჯვრის მონასტერში გადაწერილ სვინაქსარზე კათოლიკე ტამპლიერთა ორდენის წევრების მოსახსენებელი მინაწერები. „სულ დაწერილია ოცი წარჩინებული ჯვაროსნის აღაპი, რომლებიც ქართველ ბერებს ჩაუწერიათ ფრანგი რაინდების კარნახით და მოიცავს 1155-1188 წლებს“. როგორც ავტორმა დაადგინა: „...ორდენის წარმომადგენლები არა მხოლოდ დადიოდნენ ამ მონასტერში, არამედ მას მატერიალურადაც ეხმარებოდნენ“. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა წმ. ჯვრის მონასტრის „დატყვევებისა და განთავისუფლების“ საკითხს. აღსანიშნავია, რომ პალესტინაში არსებული რელიგიური და პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად ჯვრის მონასტერი კვლავ ინარჩუნებდა „ქონებას და დამოუკიდებლობას“, თუმცა XV საუკუნის 70-იან წლებში მონასტერმა დამოუკიდებლობა დაკარგა. ბაჰარელი მამლუქების მოწოლას ჯვარმა ვერ გაუძლო. შეიხ ხიდრის ბრძანებით მონასტერი სასტიკად დაარბიეს. მოკლეს ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე. მონასტრის გამოხსნის თვალსაზრისით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართლის მეფე ვახტანგ III დემეტრე II თავდადებულის ძეს(1298 ან 1299 და 1302-1308 წ.წ) ვახტანგი, ქართველთა მონასტერს, როდესაც ის ილხანთა ჯართან ერთად იერუსალიმის აღებაში მონაწილეობდა დიდად დახმარებია. „რვაი თავი ლაჰრი და ათასი თეთრი“ შეუწირავს. ცოტა უფრო მოგვიანებით დავით VIII მეჩეთად გადაქცეული მონასტერი: „ეკლესიადვე საღოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავთა ქართველთასა“. ქართველებმა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით „კლიტენი იერუსალიმისანი“ გიორგი ვ ბრწინვალეს აქტიური მოღვაწეობის შემდეგ დაიბრუნეს. არსებული წყაროებზე სწორი დაკვირვების შედეგად პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი ასკვნის: „ვფიქრობ „ძეგლში (იგულისხმება „ძეგლი ერისთავთა-გ.ს) ლაპარაკია არა ერთი სიწმინდე-ქრისტეს საფლავის კლიტეზე, არამედ მრავალი სიწმინდის კლიტეებზე და მათ შორის უნ

▶ 6 ᲒᲒ.

იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის საკითხისა ისტორიის გამოკვლევა

▶ 6 33. და იგულისხმებოდეს ჯვრის მონასტრის კლიტეც, რომლის შესახებ არაბი ავტორები აღნიშნავენ“. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში არსებულ მეჩეთს. ქართველთა სავანეში მეჩეთის დაარსება ეგვიპტის მამლუქ სულტანს ბეიბარსის სახელს უკავშირდება. მამლუქებმა შეიხ ხიდრის ბრძანებით ქართული მონასტერი დაარბიეს და მეჩეთად გადააკეთეს. ე. მამისთვალიშვილის აზრით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კომპლექსში მეჩეთი XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან XIV საუკუნის 20-30-იან წლებამდე არსებობდა. მეჩეთი სიმბოლურად 1571 წლის 1 თებერვლიდან აღადგინეს. სწორედ ამ მეჩეთს ეძახდა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ცნობით ხალხი ჯვრის მონასტრის მეჩეთს. ჯვრის მონასტრის ბერებს „მეჩეთის“ გადასახადიც კი დაეკისრათ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დავალიანების დაფარვის შემდეგ, რაც საქართველოდან წაღებული ფულადი თანხით განხორციელდა, პატრიარქმა დოსითეოსმა აქ არსებულ მეჩეთის გაუქმებასაც მიაღწია და მონასტერიც დაისაკუთრა. მონოგრაფიაში ცალკეა გამოყოფილი თავი—„წმ. ჯვრის მონასტერი XV-XVII საუკუნეებში“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ხვ საუკუნე არასახარბიელო ფაქტით დაიწყო. მუსლიმანებმა ქართველთა მონასტერი ააოხრეს, თუმცა საქართველოდან მიღებული დახმარებით მონასტერი მალევე იქნა აღდგენილი. ქართლის სამეფოსა და მამლუქთა ეგვიპტესთან დიპლომატიური კავშირი არსებობდა, რაც ავტორის დაკვირვებით ორივე სახელმწიფოს ინტერესი უნდა ყოფილიყო. ეს კავშირი გაგრძელდა ოსმალთა მიერ მამლუქთა ეგვიპტის დაპყრობამდე. საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიის გაგრძელება იყო ქართლის მეფის კონსტანტინე II მიერ ეგვიპტეში ქართველი ელჩის--ხუცეს ნილოს გაგზავნა. ნილოს ჩასვლა ეგვიპტეში იერუსალიმში ქართველთა ეკლესია-მონასტრების მდგომარების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა. ასეთივე მიზანი ჰქონდა კახთა მეფის ავგიორგის 1511-1513 წ.წ მიერ ეგვიპტეში ქართველი ელჩის ბეენა ჩოლოყაშვილის გაგზავნას. ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა ოსმალთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა. ამის შესახებ ავტორი წერს: „იერუსალიმის დაყრობიდან მცირე ხანში ოსმალებმა დაიწყეს ქრისტიანებისა და მათი ეკლესია-მონასტრების შევიწროება და დიდი გადასახადები მოითხოვეს. ვინც ვერ გადაიხდიდა, მათ ტაძრებს ძარცვავდნენ და კეტავდნენ“. ავტორს მოჰყავს ხვII საუკუნის ავტორის ბერნარდ სურის ცნობა, რომლის თანახმადაც XVII საუკუნის 40-იანი წლების ახლო ხანებში ქართველებს საერთოდ მიუტოვებიათ გოლგოთა და წმ. ჯვრის მონასტერში გადასახლებულან, რათა თავი დაეღწიათ ოსმალური გადასახადებისაგან. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა წმინდა ჯვრის მონასტრის მმართველობას. ამავე თავში შესწავლილია ჯვრის მონასტრის მეტოქეები საქართველოში. დოკუმენტური წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ჯვრის მონასტერს საქართველოში, კერძოდ, თბილისში თავისი მეტოქი-ჯვარის მამის ეკლესია გააჩნდა, რომელიც სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს იერუსალიმის ქუჩაზე დღესაც არსებობს. მოგვიანებით აღნიშნულ ეკლესიასაც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო დაეპატრონა. ე. მამისთვალიშვილს მოჰყავს დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის ცნობა, რომლის თანახმადაც საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს, თბილისის ჯვარის მამის ეკლესიის ეზოში სამრევლო სკოლის გახსნაზე ბერძნულმა მხარემ, კერძოდ, ჯვარისმამის ბერძენმა წინამძღვარმა სოფრონმა უარი უთხრა. აღნიშნულ თავში შესწავლილია ჯვრის მონასტრის საქართველოში არსებული სხვა მეტოქეებიც, კერძოდ: დასავლეთ საქართველოში არსებული კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია, ასევე გოლგოთისა და ჯვრის მონასტრის მეტოქი მღვიმევის ნათლისცემლის ეკლესია, ყოვლადწმინდის ეკლესია კახეთში, ჩაიხედენას ღვთისმშობლის ეკლესია გურიაში და შიდა ქართლში არსებული დირბის მონასტერი, რომელიც ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენციას წარმოადგენდა. ცალკე ადგილი ეთმობა ჯვრის მონასტრის მეტოქ ტაძრებს პალესტინაში. როგორც ე. მამისთვალიშვილმა გამოიკვლია, ასეთი მეტოქეები იყო: თანამედროვე იორდანიაში არსებული შეჰანის მონასტერი, ასევე იერუსალიმში არსებული წმინდა ნიკოლოზის მონასტერი, რომელიც კახთა დედოფლის ელენე-ყოფილის ელისაბედის მიერ იყო აგებული. ავტორი ნაშრომში საგანგებო ადგილს უთმობს ჯვრის მონასტრის წინამძღვრებს-ჯვარისმამებს. შესწავლილი და დადგენილი აქვს დოკუმენტურ, თუ ნარატიული წყაროებით ცნობილი ის სასულიერო პირები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჯვრის მონასტერს ხელმძღვანელობდნენ. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა წმ. ჯვრის მონასტრის მამულებს და სახლებს. ქართველთა ეს უდიდეს სავანე გარშემორტყმული იყო ზეთისხილის და ლეღვის ნარგავებით, მონასტერს ჰქონდა თავისი ვენახი, რაც არაერთი წყაროთი(მაშ შორის უცხოური)დასტურდება. ცალკეა გამოყოფილი მონასტრის კუთვნილი სახლები და მონასტრისადმი სხვადასხვა დროს ქართველი მეფე-მტავრებისაგან, თუ სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოს მიერ გაღებული შეწირულობანი. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები ჯვრის მონასტრის დასახმარებლად ფულად სახსრებს არ იშურებდნენ. მონასტრის არსებობას დიდწილად სწორედ ეს შეწირულობანი განსაზღვრავდა. მონოგრაფიის შემდეგი თავი ავტორს ასე დაუსათაურებია: „წმ. ჯვრის მონასტერი ძველად და ახლა“, სხვასხვა ქვეყნებიდან ჩასულ მოგზაურთა (ანგლოსაქსი ზევულფი, რუსი სასულიერო პირი დანიელი, არაბი ენციკლოპედისტი ალ--უმარი და სხვ.) ცბობებზე დაყრდნობით ე. მამისთვალიშვილმა წარმოაჩინა ქართველთა მონასტრის გარეგნული იერსახე, თუ როგორ გამოიყურებოდა საუკუნეთა წინ პეტრე იბერის მიერ დაარსებული ქართველთა სულიერების ეს მძლავრი კერა. გამოკვლევაში ავტორს ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ჯვრის მონასტერში არსებული მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობისადმი. ავტორის შეფასებით: „ცალკე უნდა ითქვას წმ. ჯვრის მონასტრის შესანიშნავ წიგნსაცავზე, რომელიც იმავე დროს ხელნაწერთა გამრავლების, თარგმნის, შეკაზმვისა და აკინძვის ცენტრიც იყო“. ავტორი საგანგებოდ გამოყოფს მონასტრის აღმდგენლის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის პროხორეს მწიგნობრულ საქმიანობას, რომლის სახელსაც არაერთი წიგნის თარგმნა, ან გადაწერა უკავშირდება. მონასტერში წარმატებით მოღვაწეობდა ხვI საუკუნეში ათაბაგ მზეჭაბუკის მიერ წარგზავნილი კალიგრაფი-ამბროსი, ავტორის შეფასებით ჯვრის მონასტერში ძალზე მნიშვნელოვანი იყო თბილელი მთავარეპისკოპოსის ბარნაბას და ვლასი ურბნელის საქმიანობა. ავტორს შესწავლილი აქვს ასევე ჯვრის მონასტერში დაწესებული დღესასწაულები. მონასტერს ჰქონდა საკუთარი დღესასწაული-წმ. ჯვრის დასამზადებელი ხის მოჭრის დღე, რომელიც ეწყობოდა პასექის მეორე კვირის დღეს. მკვლევრის დაკვირვებით ჯვრის მონასტრის ხალხმრავალ დღესასწაულს შუასაუკუნეების არაერთი პილიგრიმი ადასტურებს. არ შეიძლება საგანგებოდ არ გამოვყოთ მონოგრაფიის ის თავი, რომელიც თამარ მეფის უკანასკნელ განსასვენებელს ეხება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ლეგენდებით შემოსილ ქართველთა მეფის გარდაცვალების და საბოლოო განსასვენებლის ადგილის შესახებ მლკვევართა არაერთი თაობა მუშაობდა, კვლევა ამ მხრივ გრძელდება დღესაც. ამ საკითხებს არაერთი სატელევიზიო გადაცემაც მიეძღვნა. სად არის თამარის უკანასკნელი ძვალთშესალაგი? გელათის მონასტერი, თუ იერუსალიმი, სწორედ ამ საკითხთა შესახებ არსებული წყაროების კიდევ ერთხელ განხილვის და ანალიზის ცდაა მოცემული პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის მონოგრაფიაში. მკვლევარი ჩვენს ხელთ არსებული წყაროების ახლებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ხელახლა უღმავდება ფრანგი ჯვაროსნი დე ბუას იმ ცნობილი წერილს, რომელიც ზ. ავალიშვილმა აღმოაჩინა და ქართველებს საშუალება მოგვცა თამარის ნეშტის იურუსალიმში შესაძლო გადასვენებაზე გვემსჯელა. საინტერესოა, რომ მხოლოდ დე ბუას წერილით არ დასტურდება თამარის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების ფაქტი, ამას მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის სულისჩამდგმელი ფრანგი ავგუსტინელი ბერი ჟაკ დე ვიტრიც ადასტურებს. წყაროთა თანმიმდევრული დალაგება, სწორი ანალიზი, მკითხველს საშუალებას აძლევს, ასეთივე თანმინმდევრულობით მიყვეს ავტორის მსჯელობას, რომელიც ძალზე დამაჯერებელია. მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში არსქეოლოგიური კვლევა-ძიება სრულყოფილად არ ჩატარებულა, ავტორს ყოველგვარი თავსმოხვეული არგუმენტების გარეშე ლოგიკურად მივყავართ დასკვნამდე, რომ თამარი სწორედ წმ. ჯვრის მონასტერში განისვენებს, სწორედ თამარის განსასვენებელზე უნდა ესაუბრა ცნობილ ქართველ პოეტ და საზოგადო მოღვაწეს ირაკლი აბაშიძეს ბერძენ არქეოლოგს იკონომოპულოსს, რომელსაც საშუალება ჰქონდა მონასტრის სარდაფში ჩვენთვის ხელმიუწვდომელი საფლავები ენახა. ავტორი დიდი სიფრთხილით, თუმცა სათანადო არგუმენტების მოშველიებით გვიმყარებს აზრს, იმის შესახებ, რომ 40-იოდე წლის ქალბატონის ნეშტი, რომელიც იკონომოპულოსმა ნახა სწორედ თამარს ეკუთვნოდა. „ვეცნობი ზემოთდამოწმებულ დოკუმენტებსა და ლიტერატურას და ძალაუნებურად გახსენდება თამარ მეფის ცარიელი საფლავი გელათში, გესმის XIII ს. პირველი მეოთხედის უცხოელებისა და XX-XXI საუკუნეთა ქართველ მეცნიერთა ურთიერთშეხმიანება, ძლიერდება თამარ მეფის საფლავის მიგნების იმედი და ცნობიერებაში ამოტივტივდება იერუსალიმის პირქუში და მიუდგომელი წ. ჯვრის მონასტერი, რომელიც ვინ იცის ქართველთა რამდენ საიდუმლოს ინახავს“. ასეთივე საიდუმლოდ დარჩა ჩვენთვის „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის ცხოვრება, ვინ იყო შოთა, რა საქმიანობას ეწეოდა, სად გაატარა მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები. რუსთაველის შესახებ მხოლოდ ზოგიერთი შტრიხია ცნობილი მეცნიერთათვის, თუმცა წყაროთა უქონლობის გამო შოთა რუსთაველზე გაბედული წერა ყველას უჭირს. ელდარ მამისთვალიშვილის მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა იერუსალიმის წ. ჯვრის მონასტერში არსებულ შოთა რუსთაველი ფრესკას. ნაშრომში ავტორი ძალზე საინტერესოდ მსჯელობს პორტრეტის შექმნის სავარაუდო პერიოდზე. სხვადასხვა უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენები აქვს, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო შოთა რუსთაველი და რა უმაღლესი თანამდებობა ჰქონოდა თამარის კარზე. ავტორს წამოჩენილი აქვს საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური ურთირთობანი მაშინდელ ეგვიპტის სულთანთან--სალაჰ-ად-დინთან, საუბარია ქართველ ელჩზე, რომელი სულთანს ეახლა და თამარ მეფის „ფიცის წიგნი“ გადასცა. ამავე ელჩმა გადასცა სულთანს დიდძალი თანხა ჰატინთან ბრძოლაში 1187 წლის 4 ივლისს დატყვევებული წმ. ჯვრის გამოსახსნელად. ელჩმა დააყენა ასევე საკითხი იერუსალიმის ქართული ტაძრების დაბრუნების შესახებ. როგორც პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი აღნიშნავს: „შეიძლება სწორედ შოთა რუსთაველის დიპლომატიური ნიჭის და ღრმა ერუდიციის შედეგი იყო, რომ შემდგომში მაინც წარმატებით დასრულდა 1192 წელს დაწყებული საქმე. ვინ იცის რამდენჯერ მოუწია მას ეგვიპტესა და იერუსალიმში მოგზაურობა და თავისი მისიის შესაბამისად, დახმარება გაუწია იქ არსებულ ქართულ მონასტრებს. იქნებ ამიტომაც უკვდავყვეს მისი სახე და სახელი წმ. ჯვრის მონასტრის მადლიერმა ბერებმა“. ჩვენი აზრით, სწორედ პალესტინაშია საძებნი გენიალური ქართველი პოეტის კვალი. ჯვრის მონასტერში არსებული შოთა რუსთაველის ფრესკა, ასევე მის სახელზე დაწესებული აღაპი, ძალიან ბევრ რამეს მეტყველებს. არ შეიძლება, არ გაიზიარო პროფ ე. მამისთვალიშვილის მოსაზრება: „რადგან შოთა რუსთაველის პორტრეტი დახატულია იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში მეტყველებს იმაზე, რომ ის სწორედ ის სახელმწიფო მოხელე იყო, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა ამ სახელგანთქმული ქართული სასულიერო და კულტურის კერის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინაშე. რა თქმა უნდა, მონასტრის ბერები შოთას იმის გამო არ დახატავდნენ ტაძარში, რომ გენიელური პოეტი იყო და უბრწყინვალესი ნაწარმოები შექმნა“. ავტორი უშვებს ვარაუდს, რომ: „მსგავსად სხვა ქართველი მეფე-მთავრებისა, რომლებიც არასოდეს ყოფილან იერუსალიმში, მაგრამ იქაურ სიწმინდეთა აშენება-აღდგენის, ფინანსური და სხვაგვარი დახმარებისათვის, წმ. ჯვრის მონასტერში უკვდავყვეს მათი დამსახურება, ასევე აუცილებელი არ იყო შოთა რუსთაველი პირადად სწვეოდა იერუსალიმს“. XVIII საუკუნის ქართველი პილიგრიმი ტიმოთე გაბაშვილი მიუთითებს: „ჯვარის მონასტერი დაძველებული და გუმბათის ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა... შოთას ვიტყვი რუსთველსა, მეჭურჭლეთ უხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“. ამ ცნობის გარდა, სხვა წერილობითი ცნობა რუსთაველი მიერ ჯვრის მონასტრისადმი რაიმე სახის მატერიალური დახმარების თვალსაზრისით არ გვაქვს, თუ არ ჩავთლით აღაპს, რომელიც მონასტრისადმი შემომწირველთა სახელზე იყო დაწესებული. თუმცა რუსთაველს რომ სხვა რიგით შემწირველებზე მეტი დამსახურება ჰქონდა ქართული სავანის მიმართ აღაპის გარდა ფრესკაც ადასტურებს, სადაც ის საერო ტანსაცმლით არის შემოსილი. მონასტერს ბევრი შემწირველი ჰყავდა, მაგრამ მათ სახელზე მხოლოდ აღაპებია, ცხადია ყველა მათგანის ფრესკა არ შექმნილა, რუსთაველი როგორც ჩანს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა და ის ჩვენი აზრით არ უნდა ყოფილიყო ერთჯერადი. ასეთი მაღალი სოციალური წრის ადამიანს, რომელიც გამორიცხული არ არის, რომ თამარის მითითებით დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა, შეუძლებელია, რომ წმინდა ქალაქი არ მოენახულებინა და წმ. ჯვრის მონასტერი არ ენახა. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა წმ. ჯვრის მონასტრის ქართული პერიოდის დასასრულს. საუკუნეების განმავლობაში წმინდა მიწაზე არსებული პეტრე იბერის მიერ დაარსებული და ქართველ მეფეთაგან მოვლილ-ნაპატრონები კულტურის და სულიერების ეს დიდი კერა ხვII საუკუნიდან იწყებს დაცემას. ეს განაპირობა ქართველთა მონასტრის მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ, ფინანსური სიდუხჭირეში მყოფი ქართველი ბერები ვეღარ ახერხებდნენ მონასტრის შენახვას. იერუსალიმში მყოფი ქართველები ჯვრის მონასტერთან ერთად სხვა ქართული სავანეების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამის შესახებ ძალზე მნიშვლელოვან ინფორმაციას შეიცავს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული მართა მონაზვნის წერილი, რომლის ანალიზსაც გვთავაზობს ე. მამაისთვალიშვილი. ქართველ სასულიერო პირებს, კერძოდ, დასავლეთ საქaრთველოს კათალიკოსს გრიგოლს მართა მონაზონი იერუსალიმის ქართული სავანეთა გადარჩენისკენ მოუწოდებდა. მისი წერილი თითქოს წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, ქართველებმა მართას მოწოდება ვერ გაითვალისწინეს და წმინდა მიწაზე არსებული მონასტრები საბოლოოდ დაკარგეს. როგორც ე. მამისთვალიშვილი წერს: „მართა მონაზონის წერილი წინასწარმეტყველურია. მართლაც ისე დასრულდა იერუსალიმში ქართული დიასპორისა და მონასტრების ისტორია, როგორც არსებული ვითარების საფუძველზე ის აფრთხილებდა ქართულ საერო და საეკლესიო ხელისუფლებას. XVII საუკუნის დასასრულს წმ. ქალაქში დასრულდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი რელიგიური და კულტურული ცხოვრება“. ე. მამისთვალიშვილის ნაშრომის ბოლო თავი წმ. ჯვრის მონასტრის ფრესკებს და წარწერებს ეთმობა. ავტორს შეწავლილი აქვს მონასტრის სხვადასხვა კედლებზე და სვეტებზე გამოსახული ფრესკები და წარწერები, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან მონასტრის ისტორიის არაერთი პერიოდის შესახებ. წარწერებში მოხსნიებულნი არიან ჯვარის მამები, მონასტრის მომხატველნი, შემომწირველი მეფეები და დიდებულები. ფრესკების და წარწერების ნაწილმა, რომლებიც არაერთ მოგზაურს და მკვლევარს უნახავს დღემდე ვერ მოაღწია. დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ, და ზოგადად, ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის „იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერის“ სახით ძალზე დიდი საჩუქარი მიიღო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნით ჩვენმა ქვეყანამ წმინდა მიწაზე არსებული კულტურისა და სულიერების დიდი ქართული ცენტრის დაკარგული ისტორია დაიბრუნა. ეს არ არის წიგნი მხოლოდ დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის, ეს არის წიგნი ასევე მომავალი საქართველოსთვის. ელდარ მამისთვალიშვილმა თავისი უზარმაზარი ნაშრომით ხიდი გადო წარსულსა და მომავალს შორის. ეს წიგნი არასოდეს დაძველდება. ეს წიგნი ჩვენი სავიზიტო ბარათი იქნება წმინდა მიწაზე.

გალაქტიონ ღლონტის პოეზია



ემოციურობითა და უშუალობით, დაღდასმული გალაქტიონ ღლონტის პოეტური შემოქმედება გამორჩეულ, სასიამოვნო თავისთავადობას წარმოადგენს. მკითხველი ძალუმად განიცდის მაღალი პიროვნული კულტურის, მამულიშვილური გრძნობისა და ღვთივმინიჭებული ნიჭიერების ერთიანობის ძალასა და სილამაზეს. მისი ლექსებიდან დიდი სითბო, სიწმინდე და ამაღლებული განცდა ასხივებს, რაც მკითხველს პოეტისადმი მიმნდობს ხდის. ღრმად ეროვნული და თანადროული აზროვნება, გამოცდილი და ბევრის მნახველი პოეტის დამაჯერებელი ტონი კეთილგანწყობილებით აგავსებს.

გალაქტიონს უყვარს სიამოვნებით აღსაქმელი ფერები, მრავლისმეტყველია, რომ პოეტმა თავისი ლექსების პირველ კრებულს „ბინდის ნათელი“ უწოდა, ხოლო მეორეს – „სული ცისაკენ მიემართება“. პოეტის არსებაში ცოცხლობს საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. მოვუსმინოთ:

თავდავიწყება, საქართველოვ,
ხარ ერთადერთი,
შენით იწყება ყველაფერი, შენით
მთავრდება, მარადისობის რწმენით მავსებს
სიწმინდე ღმერთის,
ერის და ბერის გონი გიდგას
სანდო თავდებად.
რატომ ხარ ასე ტკბილზე ტკბილი, სულზე საამო, შენი შვილი ვარ, შესაშური
თან დამყვა ბედი,
შენ ხარ ყოველი: მზეი, მიწა, წყალი,
მალამო...
ჩვენი გაჩენის და კაცობის
წინამორბედი.

ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ ოცი-ოდე წლის ყმაწვილი სატრფიალო ლექსშიც „გეძახი, მერი“ ხმიანობს საქართველოს სიდიადესა და უსაზღვრო სიყვარულზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს უპირველესი ქართული სიდიადე, სამსოფლიო სახელი პოეტი შოთა რუსთაველია:

ჩვენ რუსთაველის ქვეყნის
შვილნი ვართ,
მორცხვად გვიცქერენ დანტე, ჰომერი,
საქართველოსთვის მთლად
შეშლილნი ვართ,
უნდა ვიხაროთ, ვიხაროთ მერი.

„ჩემი ტაძარი საქართველოა“, – ამბობს პოეტი, ხოლო ხატი – „ერი მართალი, შემართული და ჭირნახული“. მის სულს არ შორდება „მწველი სახელები – ბერთა, ოპიზა, ბანა, ოშკი, ხანძთა, ხახული...“ გალაქტიონს დღეს-აც სტკივა საუკუნეთა წინათ მრავალრიცხოვან მომხდურთა მიერ გულადი, მაგრამ შედარებით მცირერიცხოვან ქართველთა მიმართ ჩადენილი სისასტიკენი და უსამართლობანი. ათსიტყვიან ლექსში პოეტი შთამბეჭდავად გადმოსცემს ქართველთა მოუშუშებელ ტკივილს. ეს ლექსი ღრმად განცდილის შემძვრელი ამოძახილია:

რა მოარჩენს,
რა მოარჩენს
იმ იარას,
კახეთიდან
ფერეიდანს
რომ იარა?!

სამშობლო იწყება იქ, სადაც თვალი გაახილე, უღრუბლო ბავშვობა გაატარე, ცვრიან ბალახზე გაიარე, ბუნების მშვენიერებით განიმსჭვალე... გალაქტიონის მშობლიური კუთხე გურიაა და საცნაურია ის განსაკუთრებული სითბო და სიყვარული, რასაც პოეტი მისდამი გამოხატავს:

მე დავიბადე ლაღ გურიაში,
ქართული გენი სხივად მესხურა...

პოეტის შთაგონების უშრეტი წყაროა გურია – „მხარე ზურმუხტი ახავერდებით“, „ციცა ქალივით კოხტა გურია“, „კრიმანჭულივით ჩახვეული მთები“, სადაც „ცა და მიწა ერთურთს შეხარის“ და „ბუნება, ხალხი ერთგვარ მჩქეფარია“...

გალაქტიონი დიდი სითბოთი და ყურადღებით ეხმიანება თანამდევ სულებს – ქართული პოეზიის მარადიულ მნათობებს. „პოეტნი ნაღდად მზეს მოჰყვნენ თანა“, – ამბობს იგი და ამით ხაზგასმულია პოეზიის უდიდესი როლი ადამიანის კეთილდღეობაში...

ჩვენ რუსთაველმა შეგვაზანზარა,
აგვაგიზგიზა ძალამ და ნიჭმა,
ყველაზე ძლიერ ლექსმა გვატარა,
ტოლი არ იცის ქართულმა ბიჯმა.

განსაკუთრებულია გალაქტიონ ღლონტის სულიერი სიახლოვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ შემოქმედებასთან. მრავლისმეტყველად მიმართავს იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს – „ნიჭით ნიკოლოზს, ასაკით ტატოს“:

შენეულ გზნების აელვარება
თან სულს ამხედრებს, თანაც ანაზებს,
ერის ფიქრი და გონის წვალება
შენი ხმით დადის ამქვეყანაზე.

გალაკტიონ ტაბიძე „ერთადერთია“ – „ლექსის მწვერვალი და სილამაზე“, „მწველი ფიქრი და ციური გზნება“:

გვყავს პოეტნი მირონის,
ციურ ხმათა წვდომა,
მაინც გალაკტიონის
ფრთებქვეშ უწევთ დგომა.

მოკრძალებული ბუნების გალაქტიონ ღლონტს სიამოვნებს, რომ გენიალური პოეტის – გალაკტიონის სახელი ერგო, თანაც აკრთობს:

გალაქტიონი მერგო სახელი,
რაღაც საამო არის საგრძნობი...

და: ერთადერთია გალაკტიონი,
გალაქტიონი რარიგად კრთება...

უპრიანია, აქვე აღვნიშნოთ, რომ გალაქტიონის მშობლებსაც ჰქონდათ მცდელობა სათქმელის ლექსად გადმოცემისა. ისინი პოეზიის დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ. საცნაური და მეტყველი ფაქტია, რომ მათ შვილებს თანმიმდევრობით დაარქვეს – შოთა, აკაკი, გალაქტიონი. ისიც მეტყველი ფაქტია, რომ კიდევ ჰყავდათ მომდევნო შვილები, მაგრამ ამ პოეტთა გვერდით სხვა სახელის დარქმევა არ მიუჩნევიათ მიზანშეწონილად.

გალაქტიონისათვის „ლექსია სულის დიდი სიმდიდრე„; „ლექსი შვებაა, ლექსი დარდია„; „სულის ნავარდია“, მაგრამ ამავე დროს „წვა და თმენაცაა“. ლექსი უნდა იყოს „გულიდან მომავალი“, „ეშხიანი თვალებით“, „მშობლიური გზა-კვალის, ზეცისკენ მიმავალი“.

მრავალმხრივ საინტერესო და მეტყველია პოეტის მიერ შემძვრელი უშუალობით ნათქვამი:

არც ერთი ლექსი არ მითქვამს ისე,
რომ არ წაეღოს გულის ნაწილი.

გ. ღლონტის ლექსები მკითხველს სასიამოვნო ემოციურობითა და ამამაღლებელი განცდით ხიბლავენ. ოთხტაეპიანი სტროფების ბოლოს ხშირად გვხვდება ორტაეპიანი სხარტული გამოთქმა, ბრძნული აზრი. ლექსის ორტაეპიანი სხარტული გამოთქმით დასრულება, შეიძლება ითქვას, გალაქტიონისეულ სიახლეს წარმოადგენს. აი, ზოგიერთი ორტაეპიანი:

ლექსმა ნათელი თუ არ აფრქვია,
მას პოეზია არა არ ჰქვია!

ან: სანთელივით წვა კარგია,
სულს და ქვეყანას არგია.

ან: კაცი ღვთიური ზნით და ბუნებით
ცასა და მიწას დაეფუძნები...

ცნობილია, რომ პოეტური ძლიერი განცდა უმთავრესად ლაპიდარულად, მოკლედ გადმოიცემა. ლაპიდარულობა – აზრის მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ გადმოცემა დამახასიათებელია გალაქტიონისათვის. ამასზე მეტყველებს განცდით და აზრით განმსჭვალული ერთსტროფიანთა სიმრავლეც, ციკლი: „ერთსტროფიანები“. აი, ზოგიერთი მათგანი:

გადმოიღვარა ერთავად ზეცა,
სულში ჩასახლდა ნათელ ფერებად,
ნეტავ, ყველასთვის ასეა ეს ცა,
ნეტავი, აგრე ბევრს ეფერება?

ან: ერო ჩემო, ის გაქვს ბრალი,
ხარ ოცნების ნატვრისთვალი.

ან: წარმავალია ბევრი რამ ბოლოს,
დღეს რომ გვგონია თვალშისაცემი,
ადამიანი სულია მხოლოდ
შთამომავლობას გადასაცემი.

შთამბეჭდავია სიტყვათა მხატვრულ-აზრობრივი დატვირთვა. თექვსმეტსიტყვიან ლექსში „ზარები“ მხოლოდ „ზ“ ასოს შემცველი სიტყვა ზუზუნებს; თითქოს გესმის ზარების საამო წკრიალი და ხედავ ზიგზაგებად მოზრიალე ზოლებს. ეს სილამაზე განსაკუთრებით შთამბეჭდავს ხდის ზეციური ზრახვების სიდიადეს და მისი შეცნობის მნიშვნელობას:

ზანზარებენ ზარები
სილამაზის ზმანებად,
მზესთან შენაზავები
ბზვინვა არ ეზარებათ.
მოზუზუნე ზოლები
ზიგზაგებად ზრიალებს,
ზეცას შენაზომები
ზრახვებს გამიზიარებს.

კრებულში „ლიტერატურული კონკურსი პოეზიაში – ინსპირაცია“ (2015 წ.) დაიბეჭდა 90 წლის გალაქტიონის მეტად საინტერესო ლექსი „ნ„-ს. ეს პირველი შემთხვევაა, რომ მოკრძალებულმა პოეტმა მონაწილეობა მიიღო კონკურსში. სასიამოვნოა, რომ ხანდაზმული პოეტის ლექსმა ამ კრებულის გამომცემელი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების ყურადღება დაიმსახურა. მამულში ხანგრძლივი რუდუნებით კმაყოფილი გალაქტიონი იმედოვნებს, რომ თავისი წრფელი ლექსებით სამშობლოში მარად ისულდგმულებს. პოეტი „ნ„-ს – თავისთავს მიმართავს:

წლები გერგო ხვავრიელად, საკვეხნად,
ხანდაზმულიც მამულს ეალერსები,
შენი სუნთქვის მაუწყებლად ამქვეყნად
იჩაუქებს შენი წრფელი ლექსები.

– ჭეშმარიტად! ჭეშჭმარიტად! – შეაგებებს მისი შემოქმედების მცნობელი მკითხველი, დარწმუნებული, რომ გალაქტიონ ღლონტის ამამაღლებელი განცდითა და შთამბეჭდავი აზრიანობით განმსჭვალული ლექსები მარად დაამშვენებენ ქართული პოეზიის საგანძურს.

გალაქტიონ ღლონტი სანიმუშო რუდუნებითა და მაღალკვალიფიციურად ემსახურა ქართულ საქმეს. 56 წელი იმუშავა ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში: გამომცემლობა „მეცნიერების“ უფროს რედაქტორად, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის პასუხისმგებელ მდივნად (35 წ.). რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის რაიონული საბჭოს დეპუტატად. ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, ლიტერატურული, ჟურნალისტური და ორგანიზაციული საქმიანობისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები და წოდებები, მათ შორის ღირსების ორდენი.

უბედნიერეს მრავალჟამიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ ღვაწლმოსილ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს.

ცისანა ჯორბენაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

რევაზ მიშველაძე მრჩეველთა საბჭოს მუშაობის შესახებ

ია აბულაშვილი

თბილისის მერის მრჩეველთა საბჭოს საქმიანობასა და მათი რჩევით მერის შესრულებულ თუ შეუსრულებელ დაპირებებზე „რეზონანსი" საბჭოს თავმჯდომარეს, მწერალ რევაზ მიშველაძეს ესაუბრა. მას შევეკითხეთ ასევე, იმაზე, რომ მწერალთა კავშირმა და კიდევ ორმა გაერთიანებამ ლიტერატურაში ნობელის პრემიაზე წარადგინა. ამაზე მწერალი ამბობს, „მოგეხსენებათ, დღემდე ქართველ მწერალთათვის ნობელის პრემია ვერ გაიმეტეს და მეც დიდი შანსი მაქვს იმისა, რომ ჩემი წინამორბედების ბედი გავიზიარო".

რევაზ მიშველაძე: მოგეხსენებათ, რომ ქალაქის მერის მრჩეველთა საბჭო იკრიბება სამ თვეში ერთხელ. ეს გახლავთ საზოგადოებრივ საწყისზე მოქმედი საბჭო, რომლის წევრებიც სრულიად უსასყიდლოდ, ენთუზიაზმზე დაყრდნობით მუშაობენ, რათა დაეხმარონ თავად მერს უპირველეს ყოვლისა საქმიანი რჩევებით და ჩვენი ქალაქის ცხოვრებას რაიმე სასიკეთო შემატონ. თბილისის მერი დიდი ყურადღებით ეკიდება საბჭოს მუშაობას. ჯერჯერობით ორი წელია არსებობს ეს საბჭო და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე სხდომა თავის დროზე არ ჩატარებულიყო.

რაც შეეხება ჩვენი საბჭოს რჩევით მერის მიერ შესრულებულ დაპირებებს, უნდა გითხრათ, რომ ამის მაგალითებიც არაერთი გვაქვს, კერძოდ, თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ქუჩაზე გაიხსნა ორმხრივი მოძრაობა, რამაც საკმაოდ გააადვილა ამ რაიონში ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ქალაქის მერმა უკვე მოაწერა ხელი ქალაქის გენერალურ გეგმას და მომავალში თბილისის განვითარება მოხდება არა იმპულსურად, როგორც აქამდე იყო, არამედ ამ გეგმით ზუსტი პარამეტრების დაცვით.

გამწვანების სამმართველოსა და არქიტექტურის სამმართველოსთან ერთად მერმა დააწესა სპეციალური ბრძანებით მკაცრი შეზღუდვები ორი მიმართულებით: კატეგორიულად აიკრძალა ქალაქში ხეების მოჭრა და შეიზღუდა სამშენებლო ნებართვების გაცემა თუ მომავალ შენობას არა აქვს ავტოსადგომი და მცირე სტადიონის გამართვის საშუალება. ესეც ჩვენი რჩევით გაკეთებული წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება ყბადაღებული „სითი-პარკის" ურთულეს თემას, ამასწინათ ქალაქის მერმა სპეციალური გამოსვლით საზოგადოებას, ქალაქის საკრებულოს და ყველა თბილისელს განუმარტა, რომ „სითი-პარკთან" დადებული ხელშეკრულება მართლაც არის წინა მერიის მიერ დადებული დანაშაულებრივი ხელშეკრულება და იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ დედაქალაქის მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით მძღოლებისათვის ეს არასასურველი ხელშეკრულება გაუქმდეს.

ქალაქის მერმა ასევე შეასრულა დაპირება გიორგი სააკაძის ძეგლთან მოძრაობის მოწესრიგების მიმართულებით. აქ უკვე დაიდგა შუქნიშნები და ამ ადგილზე მანქანების მოძრაობა საგრძნობლად გაადვილდა.

– შეუსრულებელ დაპირებებზე რას იტყვით, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაზე, რესპუბლიკის მოედანზე ველოსიპედის ძეგლის აღებაზე, დიდუბის პანთეონის გაფართოებაზე და ა. შ.?

– იერუსალიმი ერთბაშად არ აშენებულა და ამ პრობლემებზე საუბარი გვექნება მრჩეველთა საბჭოს მორიგ შეკრებაზე, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს გაიმართება.

– თუმცა ზოგიერთი თქვენი ოპონენტი, მრჩეველთა საბჭოს არარსებულ საბჭოს უწოდებს. გარდა ამისა, კატეგორიული წინააღმდეგიც კი არის დიდუბის პანთეონის არათუ გაფართოების, არამედ საერთოდ არსებობის. მათ რას უპასუხებდით?

– ამაზე რა უნდა მოგახსენოთ, რაკი თქვენ გვარს არ ასახელებთ, მეც ინკოგნიტოდ გავეპასუხები ჩვენს ოპონენტს. შეიძლება მავანი და მავანი წინააღმდეგი იყოს დიდუბის პანთეონის გაფართოების, მაგრამ პანთეონის საერთოდ არსებობის წინააღმდეგი რატომ უნდა იყოს, ვერ წარმომიდგენია. როგორც მითხრეს, დიდუბის პანთეონში იმ მწერლის მამა გახლავთ დასაფლავებული, მაშინ რატომ არ მოუვიდა აზრად დიდუბის პანთეონის გაუქმება, როდესაც იქ მამამისს ასაფლავებდნენ? ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

რაც შეეხება ოპონენტის ჰაიჰარად ნათქვამს მრჩეველთა საბჭოს არარსებობის შესახებ, საპასუხოდ ორ არგუმენტს მოგახსენებთ – ჩემო ურწმუნო თომავ, ძვირფასო ოპონენტო, ქალაქის მერის მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან: გიგა ბათიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გივი თოიძე, ოთარ კვესიტაძე, მაყვალა გონაშვილი, არჩილ ფრანგიშვილი, იგორ კვესელავა, ომარ მხეიძე, ჯემალ გახოკიძე, ვახტანგ დავითაია, სოსო სიგუა და თამაზ შილაკაძე, დაურეკე რომელსაც გინდა ზემოთ ჩამოთვლილ პატივცემულ პიროვნებათაგან და ისინი აგიხსნიან, არსებობს თუ არა მრჩეველთა საბჭო. მე ნუ დამირეკავ, შეიძლება შენს ქოსატყუილობაზე მთლად დელიკატური პასუხი ვერ გაგცე.

– ერთი მოსალოცი ამბავი გავიგეთ, წარდგენილი ყოფილხართ 2017 წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად მხატვრული ლიტერატურის განხრით, რომელ ნაწარმოებზეა საუბარი და ვინ წარგადგინათ?

– დიდი მადლობა. წარდგენილი ვარ ჩემი ახალი რომანისთვის „ციყვი ბორბალში". რომანი დაწერილია თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაზე; კონკრეტულად ის პრეზიდენტია მოვლენათა შუაგულში, რომელიც 9 წლის განმავლობაში კამათლებივით ათამაშებდა საქართველოს მოქალაქეთა ბედს. სიუჟეტის ძირითადი ხაზი გახლავთ უდანაშაულო პიროვნების დაპატიმრება და ამ დაპატიმრებასთან დაკავშირებული ის „მშვენიერებანი", რასაც ჩვენი ხელისუფლების იმდროინდელი წარმომადგენლები ჩადიოდნენ.

მსოფლიოს ამ უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს მოსაპოვებლად წარმადგინა სამმა უწყებამ, გამომცემლობა „მაცნემ", კორპორაცია „რუსულმა კლუბმა", რომელმაც გამოსცა რომანი რუსულ ენაზე და საქართველოს მწერალთა კავშირმა. აქამდე სამი ქართველი მწერალი იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე – გრიგოლ რობაქიძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ოთარ ჭილაძე. მოგეხსენებათ, დღემდე ქართველ მწერალთათვის ნობელის პრემია ვერ გაიმეტეს და მეც დიდი შანსი მაქვს იმისა, რომ ჩემი წინამორბედების ბედი გავიზიარო.

გაზ. „რეზონანსი", 16.11.2016

შორენა დოლიძე

***

ისე დავბერდი, ხვაშიადი ვერვის გავანდე,
დაბადებიდან თანამგზავრად მომდევს სიკვდილი...
და უსასრულო შერკინება საკუთარ თავთან...
მივაპობთ ტალღებს ოკეანის გაღმა ნაპირთან,
რა ცოტა დარჩა, რა მცირეა მანძილი ხსნამდე
და რა მწუხარე მარტოობის ბებერი ბავშვი!
ისე დავბერდი, ხვაშიადი ვერვის გავანდე.

გადამფრენი ანგელოზები

ჩემს სახლს ექნება ლურჯი ფანჯრები
ღრუბლისფერი ანგელოზებით.
თვითონ მოვხატავ.
ერთადერთი, რაც შემიძლია ვხატო უგონოდ –
ანგელოზის თეთრიფრთებია...
ჩემს სახლს ექნება
ღრუბლისფერი ანგელოზებით მოხატული
ლურჯი ფანჯრები...
ხოლო ჩიტები,
გადამფრენი სხვისი სივრცისკენ
წაიღებენ ყრუ მელოდიას ჩემი გულიდან.
შეასკდებიან ქარებს ჩიტები,
დაგვიანებულ სიოს და ნიავს..
ადრეგაზაფხულს მოჰყავდა ქარი,
ახლა გვიანი შემოდგომა მილალავს ჩემგან,
საომრად მიჰყავს სულის ქარები...
დამევთრთი, რომ სადმე,
სამხრეთისკენ გადამფრენ ჩიტებს
არ შეეფეთონ,
დაუკეტონ სივრცის კარები...
ვაი თუ მოკვდნენ,
გაზაფხულზე აღარ დაბრუნდნენ
და ლურჯფანჯრებში ვერ იხილონ
გადამფრენი ანგელოზის თეთრი ფერები.
ვაი თუ სხვებიც ვერ მიმიხვდნენ ტკივილს თუ შიშებს,
რომ ჩემი სულის ქარაშოტებს გადაჰყვა გული.
რომ ანგელოზი ამ ქარებთან ვერ დაივანებს.
რომ სულს სტკივა წარმავლობის წუთის სიცივე.
ჩემს სახლს ექნება ლურჯი ფანჯრები
ღრუბლის ფერი ანგელოზებით!
და მე მუდმივად დაველოდები ადრე გაზაფხულს,
როცა ჩიტები მოფრინდებიან..
მობრუნდებიან ჩემი სულის მქრქალი ქარებიც...
მიუხედავად ადამის დარდის,
დაიბუდებენ ჩემს სიღრმეში ქარებთან ერთად
ჩემი რუხი და ჩემი თეთრი
გადამფრენი ანგელოზები.

***

აღარც ასული, აღარც ცოლი და აღარც დედა..
დროში განქარდა სამოსიც და ყველა სახელიც,
ცარიელია ის ადგილი, რომელიც გსურდა...
შემოდგომაა,
ზაფხულს გაჰყვა მთელი სიწრფელე.
ყველა დროება აგიჯანყდა,
გებრძვის სიმართლე
წუთისოფლის სიბრძნედ ხმეული...
დათმე სირცხვილი ,
და ამ ერთხელ ცრემლით იტირე
ჩამონგრეული ციხეები – შენი სხეული,
ჩამოღვენთილი შენი გული – ცრემლის კედელი.
ხოლო ის ერთი,
რაც თავად შენ აღარ გეკუთვნის
დაუნანებლად შეერთვება უფლის სიმართლეს...
სათოფურებიც ჩანგრეულა, სადაც ყოველთვის
თოფების ნაცვლად ღუღუნებდნენ თეთრი მტრედები...
შემოდგომაა...
შეგროვდება რაც გაფანტულა...

***

საკუთარი სხეულიდან გამექცა შვილი...
რადგან ვერ დარჩა იმ განცდებში,
ვცხოვრობდი რითაც,
ველარც იმ შიშში,
რომლის გამოც სიცოცხლე ღირდა...
ეს იყო მაშინ, როცა ყოფნის ბოროტი ხმები
მაინც აღწევდნენ სევდიანი მუსიკის მიღმა,
ჩემი სხეული არ ვარგოდა მშვიდობის კედლად,
რადგან საკუთარ სხეულშივე გამოვიკეტე
და არ აღმოჩნდა ყველასათვის სამყოფი მიწა..
ეს იყო მაშინ ...
ეს ნიშნავდა სიკვდილთან შებმას,
როდესაც ჩვილმა შობამდე თქვა მშობელზე უარი
და გასაჩენი გადაიქცა დასაქცევ სისხლად...

***

დრომ შემიკერა ჩუმი საკანი,
ოთხი ფიცარი
დაჟანგული ლურსმნებით ჩხვლიტა,
ასე მჩხვლეტენ გულში ეჭვები...
დრომ გამოზარდა
ხე უნაყოფო,
რომელიც მოჭრა,
გარანდა და გაალამაზა..
ვითო-ვითომ ჩემი გული მოიგო ამით...
მაგრამ არ იცნობს
დრო იმ სივრცეებს,
სადაც მარტივად,
ყოველგვარი პრანჭვის გარეშე,
დამსახურების მიუხედავად
გამოგიფენენ გზაზე გვირილებს,
მხოლოდ გვირილებს,
რომლებიც მერე
სიყვარულად გაგეშლებიან

***

შემოყუჟულ ხარ საკუთარ თავში
და გლოვობ იმას,
რამაც გაქცია საკუთარი
სხეულის მონად.
თავისუფლების გემოც არ იცი,
ისე მიდიხარ,
თითქოს დიდი ხნით გეცხოვროს მარტოდ,
უმისამართოდ...
შეფარებიხარ საკუთარ განცდებს,
მთრთოლვარ ტკივილებს,
ზიზღს და სიბრაზეს ,
რადგან არ იცი თანალმობა,
თანატკივილი,
რომელიც ახალ გზებზე გაგიყვანს
ადამიანო,
მონობაში პატივდებულო,
მარტო მიათრევ ცოდვის სიმძიმეს,
ვერც ჩამოიხსნი,
თუ არ გინდა ვერც გადააგდებ,
და იმის ნაცვლად,
რომ სიკეთით შეიმსუბუქო
წყეული ტვირთი,
ივიწყებ ღიმილს,
სხვის ტკივილებს
და ორმაგ ნიღბით
მიბანცალებ მწუხარებისკენ,
რომ შეიყუჟო საკუთარ თავში,
საგლოვად იმის ,
რამაც გაქცია

რეზო სტურუა

n+1

რიცხვთა სიმრავლე
მაშინაა
საინტერესო,
თუ იგი ზუსტი,
მიმდევრული
და უწყვეტია...

თუ ის დაცემა –
წამოდგომის
ჯამს გამოსახავს...
თუ წამოდგომა
დაცემაზე
ერთით მეტია.

ადამიანო

ადამიანო, ერთხელ მაინც
თუ გიფიქრია,
რომ მადლიან მზის
შემოხედვას
გაურბის რაც კი,

რომ უკეთური, თითეული
ნაბიჯი შენი,
ზოგჯერ რომ სინდისს
ძილს დაუფრთხობს
და ზოგჯერ არც კი,

როგორც ტკივილი,
როგორც როკვა
დაჭრილი სულის,
როგორც დაჟანგულ,
დაბლაგულ ხმლის
ნაჭდევი ფარზე.
აღიბეჭდება შოლტით ნაგვემ
სისხლის ზოლებად,
მამას მინდობილ,
ჯვარზე გაკრულ
მაცხოვრის ტანზე.

ოქროს უთქვამს

ოქროს უთქვამს,
დამაფასე,
ვერცხლისაკენ
ნუ გამწევო,
თუ დამჭრი და
გადამადნობ,
მონეტებად
ნუ მაქცევო.

უთვალავი
საუკუნე
ჩემს ქებაში
გავიდაო,
სამათხოვრო
წვრილ-წვრილ ხურდად
გადავიქცე
არ მინდაო.

დავიღალე,
აღარა მსურს
სხვისი ცოდვა
ვეზიდოო,
მირჩევნია
ლამაზ ქალის
ბროლის ყელზე
ვეკიდოო.

ტახტზე

გონება თუ აღმასვლაში
ნებისყოფას იმაღლებს,
და თუ ასე ძალისხმევით
აღწევს ტახტის სიმაღლეს.

იგი თავს იქ მეუფედ გრძნობს
შესაბამად ჟამისა,
იხვეჭს სიმწრით მონაპოვარს
საამებლად თავისა.

სული ... სული ... სხვა რამეა,
ტახტზე ხელს მას ვინ ახლებს,
მაგრამ დიდხანს იქ ვერ რჩება,
ველარ უძლებს სიმაღლეს.

გაზაფხულის მოლოდინში

დეკემბრის სუსხებს
გაუძლო ხურმამ,
დათბა და აწი
აღარ გახმება.
ცოტა ხანიც და
კუდის ქიცინით
თებერვალი მარტს
მიეხლება.
მზე გაუღიმებს
შიშველ ტოტებზე
მიჯრით შემომჯდარ
შავ-თეთრ ნარჩიტებს
და ყოჩივარდა
თოვლის საბნიდან
იისფერ თვალებს
გამოაჭყიტებს.

სინანულისკენ

აისის სხივებს
ვხვდები მონობით,
დაცლილ ვნებით და
დაღლილ გონებით.
ცის სილურჯეში
ფერკმრთალდებიან
ისედაც მორცხვი
საფირონები.

მხრებზე შემოსმულ
მოგონებებით
ჭიქით ხელში და
მკერდზე ტიტებით,
მიმიძღვებიან
სინანულისკენ
დღეები-თეთრი
მარგალიტები.

●●●

ომში წასულო ვაჟკაცო
გფარავს მაღალი ღმერთიო,
თუმცა ამ ომში შენ მისთვის
არა ხარ ერთად ერთიო.

ომიდან დაბრუნებული
მაშინ მაგონებ ლომსაო,
ჯერ დედას რომ ჩაეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო.

მაშინ ვკვდებით

მაშინ ვკვდებით,
როცა კვიცი
აღარ დახტის
მამის კვალზე;
როცა შვილი
უარს ამბობს
გარდაცვლილი
მამის ვალზე;
როცა შვილთა
ჭკუა-გონი
მამა-პაპის
სულს ვერ წვდება,
იქ იჩოქებს
ღირსება და
საქართველოც
მაშინ კვდება.

შეხვედრა

ო... რა დრო გასულა,
მაგ დაღლილ სახეზე
თითქოს ნაცრისფერი
გამხდარა ხალები...
...ჰო, არა მიშავსო...
ღიმით მიპასუხე,
ოდნავ მომარიდე
ჩამქრალი თვალები.
ფიქრები ამეწვა
და ასე მეგონა
მაგ ბავშვურ ტყუილში
თითქოს ხელს გიშლიდი,
ვიდექით ასე და
დროს ველარ ვამჩნევდით,
რომ მიაბიჯებდა
ნაცრისფერ სიმშვიდით.

გააჩნია როგორ შეხედავ

ახლა, ამ ბოლოს
უფრო ხშირად
მეკითხებიან:
ამ უღმერთობას,
ამდენ ცოდვილს
რა ეშველება,
ადამიანის
სიცოცხლის დრო
ამ ქვეყანაზე
საკმარისია,
მოკლეა თუ ...
გრძლად მეჩვენება.

მე კი ვპასუხობ:
გააჩნია
როგორ შეხედავ,
დასაგროვებლად
ცოდვებისთვის
ალბათ გრძელია
მაგრამ მოასწრო,
ის ცოდვები
მოინანიო,
ერთ ცხოვრებაში
დამერწუნეთ,
მეტად ძნელია.

სურნელის ტკივილი

ვარდების სურნელსაც
სცოდნია ტკივილი
ტკივილი, რომელიც
ფეთქავს,
არ ყუჩდება,
როდესაც ლილიებს
ცრუ ამპარტავნობით
ნერვები ეშლებათ,
ეჭვები
უჩნდებათ.

ო..., კიდევ რამდენი
ვინმეა მოშურნე,
კბილებს რომ გიჩენს და
გული კი
უკვდება
და მაინც ვარდია
იგი ერთადერთი,
სურნელის ტკივილით
ამ ბაღს რომ
უხდება.

პირველი შეხვედრა „ხევისბერ გოჩასთან“

ბათუმი... თეატრი...
უტყვი მოკრძალება...
რამპები აფრქვევენ
ნაპერწკლებს ნისლებად,
მეხუთე კლასელი,
მეოთხე რიგიდან
იმ სცენის ტკივილის
ვნებებით ივსება.

და როცა გამჭოლად
დამძიმდა სხეული,
ხელოვნის სურვილებს
სულიც რომ ემონა,
მშობელი მამისგან
უნდობი მახვილი
ონისეს კი არა
მას მოხვდა ეგონა...

...მას შემდეგ, ველარ ვთვლი,
დიდი დრო გასულა,
იმ სცენას დღესაც ჰყავს
მომსვლელი, წამსვლელი,
მაგრამ, იმ ჭრილობას
ვერაფრით იშუშებს
ის ბიჭი პატარა,
მეხუთე კლასელი.

დამიჯერე

გული როცა
გარეთ გიწევს,
სახლში თუ კი
ვერ ჩერდები,
ერთი მაინც
დამიჯერე,
გზის პირას ნუ
გაჩერდები.
ავი ენა
რას არ იტყვის
ათას ჭორებს აგორებენ,
რადგან გზაზე
ლამაზ ყვავილს
მოუწყვეტავს
არ ტოვებენ.

სიზმარი

წუხელ ბალღივით მეძინა,
ტკბილი სიზმარი ვნახეო,
შორს, გზის ბოლოში ვიდექი,
ბავშვობა დავინახეო.

სულს ცოდვა არ ამძიმებდა
გულს კიდევ – მძიმე ხინჯები,
ფეხბურთის ბურთის
მაგივრად
მზეს ვაგორებდით ბიჭები.

გამომეღვიძა, დამთავრდა
მოკლე ღიმილი ბედისა,
სიზმრიდან აღარ წამოვალ
ერთხელ კიდევ თუ მეღირსა.

ახლა, აქედან კარგად ჩანს
იმ დღიდან რა სიშორეა...
მზე, ჩვენს მინდორზე რომ იყო,
ახლა რამდენად შორეა...

მე წავალ აწი

მე წავალ აწი...
რომ სტუმრობა
სიყვარულში
არ გამეწელოს...
შენთან კარგია,
მაგრამ, მაინც...
დაშორება
რომ არ მეძნელოს.
ცრემლი რომ დამცდეს
მეშინია
და ამიტომაც
აღარ დავთვრები
და დავბრუნდები
როცა, სადაც
შენ მომიხმობ,
მოგენატრები.

რას არ გაიგებ...

ამ ქვეყანაზე
რას არ გაიგებ,
რა აღარ თქმულა,
რა აღარ ხდება,
მამრი ფუტკარი,
როგორც კი სატრფოს
მოისურვილებს,
მაშინვე კვდება.

ნეტავი ჩვენში
თუ დარჩა ვინმე,
ვნების ბილიკზე
ამ გზით იაროს
და საოცნებო
სიყვარულისთვის
ფუტკრის ეს ბედი
გაიზიაროს...

დარდი

ცოდვით დახუნძლული
ღამე მიილია,
დილას მოეხვია
ყელზე ათინათი.
მთვარემ ვარსკვლავები
ციდან აახვია
ვარდებს შემოადნათ
ტანზე ნამის კვართი.

ჩიტის პირველ სტვენას,
ოდნავ მოკრძალებულს,
აჰყვა მგალობელთა
მთელი მამითადი...
ერთხელც ვერ ვიხილო
მე ეს საოცრება
ვიცი, ზეზეულად
მომკლავს ამის დარდი.

ცოდვით დახუნძლული
ღამე მიილია...

კარიატიდებს

(კარიატიდი – ქურუმი ქალის ქანდაკებაა, გამოყენებული საყრდენ სვეტად ხუროთმოძღვრებაში)

დუელში გავიწვევ
იმ პირველ ხელოვანს,
დაშნაზე ავაგებ,
არ მოვერიდები.
ვინც ასე გაწირა
სამყაროს მშვენება
ქურუმი ქალები,
კარიატიდები.

საშველად დავლაშქრავ
ელადის ტრამალებს,
მოვალ არტემდას
კაცურად გპირდებით,
ოღონდ თქვენ დაგიხსნათ
იმ მძიმე ტვირთისგან,
ღმერთებსაც შევუტევ
და დავეჭიდები.

ახლა რომ ვფიქრდები...

რაც მეტი დრო გადის
მით მეტად ვრწმუნდები,
ქართველობა რომ
არაა ადვილი
მძიმეა შეჯიბრი,
ბრძოლაა მუდმივი,
ყავარზე კუდების
არ დარჩა ადგილი.

ქართველს ხომ ყველათვის
საქვეყნოდ ცნობილი
კუდი აქვს ლამაზი,
ფუმფულა, ჯანმრთელი,
იმას თუ ყავარზე
კარგად არ შემოდებს,
რაღაა სიცოცხლე,
რაღაა ქართველი.

ბახმაროს ნოსტალგია

ახლა იცი,
რა მსურს, ძმაო?
ღამის ცისკენ
გზა გავკვალო,
ახლო-ახლო
ვარსკვლავები
ორთავ ხელით
გადავთვალო.
ახლა, იცი
რა მსურს, ძმაო?
საყორნიის
მთას ვემთხვიო,
კისრისტეხვით
დავეშვა და
ბურან-ნისლში
გავეხვიო.
კიდევ იცი
რა მსურს, ძმაო?
არ ვიფრთხილებ,
რომც გამჭორონ,
მივეპარო
ბახვის წყალს და
მის ბროლის ყელს
ვეამბორო.

ახლა, მინდა
დავივიწყო,
რაც მივლია
გზები მრუდე,
იმ ნისლივით
თეთრ ბავშვობას
წუთით მაინც
დავუბრუნდე!

„ჩემი რუსთაველის თეატრი“



რა სიყვარული, რა სითბო, რა რაინდული სულისკვეთება გამოკრთის ჯემალ ღაღანიძის მემუარების წიგნიდან „ჩემი რუსთაველის თეატრი“ (2016). ვკითხულობდი და ხან ხმამაღლა ვხარხარებდი, ხან ცრემლი მეწვეთებოდა წიგნის ფურცლებზე. სახელოვანი მსახიობი ზუსტად ისე წერს, როგორი კაციცაა თვითონ: უშურველი, დიდბუნებოვანი, სხვისი სიხარულით გამხარებელი, შეცდომის მიმტევებელი, დიდი პროფესიონალი, თავისი უბედური ქვეყნის ჭირისუფალი, მეგობრებზე და ოჯახზე გადაგებული...

ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მშვენიერი წიგნიდან.

რევაზ მიშველაძე

„კავკასიური ცარცის წრე“

ყველა როლი მიყვარს, მაგრამ ლავრენტი – „კავკასიური ცარცის წრიდან“, მაინც სხვაა... ჩემთვის დიდი პოპულარობის მომტანი...

წესად მაქვს, როცა რეპერტუარში რაიმე პიესა ჩაეშვება, ვპოულობ და ვკითხულობ.

ჰოდა ჩაეშვა „კავკასიური ცარცის წრე“...

პიესა რუსულად ვიპოვე და კითხვა დავიწყე. ათი გვერდი რომ წავიკითხე, კინაღამ გადავაგდე, ისეთი გაუგებრობა იყო.

აკაკი ბაქრაძეს, რომელიც მაშინ თეატრის დირექტორი გახლდათ, კითხვა დაუსვეს, – სპექტაკლის წარმატება რეჟისორის ბრალია, კარგი პიესის თუ კარგი მსახიობებისო?

აკაკი ბაქრაძემ უპასუხა: – ეს რეჟისორის და მსახიობის ურთიერთგაგების შერწყმის შედეგიაო... რა თქმა უნდა, რამაზი და რობიკო იგულისხმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვებით მთელ სპექტაკლს გულისხმობდა.

მე კი მკითხეს, – ბრეხტი საქართველოში თუ იყო ნამყოფი, რომ ქართული სახელები იცისო?...

ბრეხტი არ იყო საქართველოში ნამყოფი და პიესაც კოლმეურნეობის კრებით იწყება, მოქმედება სადღაც მთაში, ყაზბეგში ხდება... ყველაფრით ჩანს, რომ როდესაც ავტორი ყაზბეგზე წერდა, ღომი მოიტანესო, – საქართველოს ადათ–წესებს არ იცნობდა, რა უნდა ყაზბეგში ღომს?...

ჰოდა, იმას ვამბობდი, როცა პიესა წავიკითხე, გამიკვირდა, რა მოეწონა რობიკოს ამ პიესაში-მეთქი?... სიუჟეტურადაც ვიღაც ბავშვის „გაწეწვაზეა“ ამბები...

რობიკო რომ გენიოსია, ყველამ იცის...

მან ისე კარგად დაალაგა ყველაფერი, ისე დახვეწა, რომ უნიკალური სპექტაკლი გამოვიდა. რეჟისორის უდიდესი წარმატებაც სწორედ ის არის, თუ როგორ დაინახავს და როგორ მოიტანს იგი სათქმელს. როგორ დაგვაჯერებს მსახიობებს და მერე როგორ აგვათამაშებს!...

„კავკასიურით“ იყო, რომ ავიწყვიტეთ, მთელი მსოფლიო შემოვიარეთ და მთელ მსოფლიოს ტაში ვაკვრევინეთ...

სპექტაკლის წარმატების პირველი განმსაზღვრელი რობიკო იყო, შემდეგ – კომპოზიტორი გია ყანჩელი, შემდეგ მხატვარი – გოგი მესხიშვილი, ქორეოგრაფი – იური ზარეცკი...

როცა მივხვდით, რომ რაღაც ძალიან კარგი გამოგვდიოდა, მსახიობებმაც ძალიან დავუდეთ გული... რამაზი, იზა, კახი, გურამი მაშინ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ... და გამოვიდა ანსამბლური სპექტაკლი, მით უმეტეს, პირველი შემადგენლობა... ამ სპექტაკლით შვიდმა კაცმა – რეჟისორმა, მხატვარმა და ხუთმა მსახიობმა, მათ შორის – მეც, ლაურეატობა მივიღეთ!... მოსკოვში, კრემლში დაგვკიდეს ლაურეატობის ნიშანი.

როგორია, ჰა?

ერთადერთი კაცი ვარ, რომელმაც „კავკასიურის“ ყველა სპექტაკლი ვითამაშე.

გამოდის, რომ სპექტაკლი არც მინახავს, იმიტომ რომ სულ სცენაზე ვიყავი, არადა, მთელმა საქართველომ, საქართველომ კი არა, მსოფლიომ ნახა...

ეროსი მანჯგალაძემ რამდენჯერმე შეცვალა რამაზ ჩხიკვაძე აზრდაკის როლში და რამაზს სპექტაკლის ნახვის საშუალება მიეცა.

არ დამავიწყდება რამაზის სახე, როცა სპექტაკლის შემდეგ ჩვენთან შემოვიდა, – ეს რა დაგვიდგამს, ხალხო, ეს რა ვნახეო!...

მე კი ამ სიამოვნებას მოკლებული ვიყავი...

პატარა როლების შემსრულებლებიდან დაწყებული, დიდ როლებამდე, ყველა საოცრად კარგი იყო. განსაკუთრებით პირველი შემადგენლობის მსახიობები – სპექტაკლის შემქმნელები. ხანდახან, საზღვარგარეთ წამსვლელთა შეზღუდვის გამო, ამა თუ იმ ეპიზოდურ როლზე, ერთჯერადად, გამოცდილ, პრესტიჟულ მსახიობებს ნიშნავდნენ ხოლმე. მაგრამ, როგორც კი ხმას ამოიღებდნენ, თითქოს უცხო სხეულები შემოიჭრნენო. მაგალითად, სოსო აბრამიშვილს სპექტაკლში ერთი სიტყვა ჰქონდა, მაგრამ ისე იჯდა სპექტაკლის ქარგაში, ლოურენს ოლივიე რომ მოგეყვანათ, სოსოსავით ვერ იტყოდა და ვერც შეცვლიდა. ერთხელ კი, ბუტაფორულ ცხენზე ამხედრებული ფრიდონ გულედანი, თავისი ორიოდე სიტყვით, ძალიან ავტორიტეტული მსახიობით შეცვალეს. ხმის ამოღებისთანავე ვიგრძენით, სულ სხვა იყო, ანსამბლიდან ამოვარდნილი.

არა, არ იფიქროთ, თითქოს, იმის თქმა მინდა, რომ პირველ შემადგენლობაში ყველა შეუცვლელი იყო. 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითად საკმარისია, გავიხსენოთ სპექტაკლის მთავარი როლის შემსრულებლის, გენიალური მსახიობის, იზა გიგოშვილის – გრუშე. იზა ჩაანაცვლა თათული დოლიძემ და, ჩემი თეატრში ყოფნის 60 წლის მანძილზე, ასეთ ზუსტ ჩანაცვლებას არ მოვსწრებივარ. ვერავინ იფიქრებდა, რომ იზას შემდეგ შესაძლო იყო ვინმეს ეთამაშა გრუშე. მაგრამ რუბიკოს გენიალურმა თვალმა და გამჭრიახობამ ბრწყინვალე მსახიობი თათული დოლიძე შეარჩია. მან გრუშეს როლს თავისი ინტერპრეტაცია მოუძებნა, სპექტაკლი არამც თუ გადაარჩინა, არამედ ახალი სიცოცხლე შემატა. სამაგალითოა ჟანრი ლოლაშვილისა და თათული დოლიძის ტანდემი. ჟანრის,

ამ მრავალწახნაგოვანი ნიჭის მქონე ადამიანს, სპექტაკლის წამყვანის როლი ეკისრება და ამ როლს ბრწყინვალედ გაართვა თავი. 30–მდე ქვეყანაში წაიყვანა. ჟანრიზე ვიცი ხოლმე თქმა, თუ გლობალურად გინდათ წარმოიდგინოთ ნიჭი, ეს არის ჟანრი ლოლაშვილი-მეთქი.

მეამაყება, რომ „კავკასიური ცარცის წრე“ მსოფლიოს საუკეთესო სპექტაკლებს შორისაა შეტანილი...

დაუვიწყარია „კავკასიური ცარცის წრის“ გასტროლები. ორჯერ მექსიკაში ვიყავით, ორჯერ – ავსტრალიაში... ვიყავით არგენტინაში, ევროპაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ორმოცამდე სახელმწიფო გვაქვს მოვლილი.

1987 წელს არგენტინაში ვიყავით „კავკასიურით“...

ბუენოს-აირესის ორიათასიან დარბაზში გამოვდიოდით, წარმოიდგინეთ თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი... „კავკასიურს“ კი ფარდა არ აქვს, სცენის სიღრმეში სპექტაკლის წამყვანები – ჟანრი ლოლაშვილი და ლეილა სიყმაშვილი აღებდნენ ჭიშკარს და ჩვენც შეძახილებითა და ცეკვით შემოვრბოდით სცენაზე. ასე იწყებოდა ეს საოცარი სპექტაკლი. მაგრამ სპექტაკლის დაწყებამდე მსახიობებს საშუალება გვქონდა ჭიშკრის ღრიჭოებიდან დარბაზისთვის შეგვევლო თვალი.

დაირეკა მეორე ზარი...

დარბაზს გავხედე, ჩემი ყურადღება ერთმა ქალბატონმა მიიქცია. პირველ რიგში იჯდა, პირველი რიგი კი პირდაპირ სცენასთან იყო მომდგარი. ქალბატონს ღრმა დეკოლტე ეცვა, ოქროულობა, ვერცხლეულობა და ხორცეულობა პირდაპირ სცენაზე დაელაგებინა, შავ თმაში დიდი წითელი ვარდი ჩაემაგრებინა, ერთი სიტყვით, ოდეკოლონ „კარმენის“ ბოთლის ნახატს ჰგავდა...

ამ ქალს რომ ვათვალიერებდი, კარლო საკანდელიძე მომიახლოვდა, – თუ ძმა ხარ, იმ ქალს გახედე, მეჩვენება თუ მართლა ასე დიდია-მეთქი? – ვუჩურჩულე.

კარლომ მართლაც გაიხედა და იმავე წუთს მითხრა, – ეგ ქალი ჩემია!...

ვინ გაჩუქა?...

აი, ნახე, თუ ბოლოს ჩემი არ გახდეს!

რისი იმედი გაქვს, ორასი წლის მოხუცს თამაშობ, სახე თმებით გაქვს დაფარული, ძლივს დადიხარ!...

კარლო ჩარლი ჩაპლინის დონეზე თამაშობდა ამ როლს. ერთი მიზანსცენა ჰქონდა, სცენის სიღრმიდან პარტერისკენ გამორბოდა, მაგრამ ჟანრი ლოლაშვილი იჭერდა...

კარლო იმის ნაცვლად ჟანრისკენ გაქცეულიყო, პირდაპირ პირველ რიგში, იმ ქალბატონ „კარმენისკენ“ გაიქცა და კალთაში ჩაუვარდა.

ქალბატონი „კარმენი“ წამოდგა, კარლო გულში ჩაიხუტა და სცენაზე აღარ გამოუშვა...

ჟანრი ხვეწნით მიიჭრა ქალბატონთან, – ქალბატონო, დაგვიბრუნეთ მოხუცი, ძალიან გვჭირდება, სპექტაკლი შეჩერდაო...

ბოლოს, როგორც იქნა, ქალბატონმა ინება და კარლო დაგვიბრუნა.

უნდა გენახათ, როგორ იმხიარულა მაყურებელმა, ყველას საგანგებოდ დადგმული მიზანსცენა ეგონა და ოვაციები არ შემწყდარა...

კარლო დიდხანს ამაყობდა, – ხომ გითხარით, ეგ ქალი ჩემი იქნება-მეთქი...

„კავკასიური ცარცის წრე“ მართლაც საოცარი ფენომენია. მთელი მსოფლიო მოვიარეთ და როგორც თბილისში იღებდა მაყურებელი, ისევე იღებდნენ ყველგან. თავგადასავლები ყველას თან გვახლდა და არა მხოლოდ არტისტებს. „კავკასიურის“ რკინის ცხენი სამჯერ გამოცვალეს: ერთი, მექსიკაში რომ მივდიოდით, პირდაპირ ოკეანეში გადაუვარდათ...

1979 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხელოვნების დარგში სახელმწიფო პრემია გაიცა, ვინც კი მიიღო, ყველამ კრემლის სვეტებიან დარბაზში მოიყარა თავი. ვის გვარსაც ამოიკითხავდნენ, კომისიასთან მოდიოდა და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი გიორგი მარკოვი, ტაშის გრიალის ფონზე პრემიას გადასცემდა.

დარბაზი ამფითეატრის ტიპისა იყო. სანამ კომისიამდე მიხვიდოდი, კიბის ორმოცდაათამდე საფეხური უნდა ჩაგეარა.

გამოცხადდა: რუსთაველის თეატრის მსახიობი – ჯემალ ღაღანიძე!...

ძლივს ავდექი, კიბეების ჩავლას ტაშის გრიალში შევუდექი და სანამ კომისიამდე მივდიოდი, გონებაში მთელმა ცხოვრებამ გამირბინა: როგორ ვოცნებობდი მსახიობობაზე, როგორ გვატარებდა დედა თეატრში, საინგილოში როგორ ვწერდი პიესებს, როგორ ვთამაშობდი, როგორ მოვხვდი ინსტიტუტში, რუსთაველის თეატრში და რობიკოს ხელმძღვანელობით როგორ გავდიოდი „კავკასიურის“ რეპეტიციებს...

რას ვიფიქრებდი, დოლიძის ქუჩიდან წამოსული ბიჭი – სსრკ პრემიის ლაურეატი თუ გავხდებოდი, მით უმეტეს, რომ ერთ დროს ამ პრემიას სტალინური ერქვა.

იმ წუთში უბედნიერესი კაცი ვიყავი. ამ ბედნიერებაში, რა თქმა უნდა, რობიკოს მიუძღვის ლომის წილი და, რა თქმა უნდა, ასევე „კავკასიურის“ ყველა მონაწილეს. ამიტომაც ვთვლი, რომ ეს პრემია ყველას გვეკუთვნის...

რა დასანანია, რომ გენიალურმა სპექტაკლმა სიცოცხლე დაასრულა.

ერთი უცნაური აზრი მაქვს აკვიატებული, რომელიც უნდა გაგიზიაროთ:

ჩემი აზრით, ნებისმიერი სპექტაკლი, რომელიც სიცოცხლეს ამთავრებს, თეატრის სცენიდან ჩუმად არ უნდა ქრებოდეს... განსაკუთრებით ისეთი სპექტაკლები, როგორიც „კავკასიური“ იყო.

ჩემი აზრით, თეატრებმა „სპექტაკლის გაცილების დღე“ უნდა შემოიღონ:

უნდა დაინიშნოს უკანასკნელი სპექტაკლი, ფარდის აწევამდე თეატრმცოდნეებმა სპექტაკლის ბიოგრაფიაზე ისაუბრონ, რეჟისორები, მსახიობები მოგონებებით გამოვიდნენ, ბოლოს, ვისაც კი ამ სპექტაკლში უთამაშია და ყველა უკანასკნელად დადგეს სცენაზე...

დამერწმუნეთ, მართალია, ნოსტალგიური, მაგრამ პრემიერაზე არანაკლებ საზეიმო საღამო იქნება.

ერთხელ ბორჯომში...

თამილა გოგოლაძე

XIX საუკუნის საქართველოში მინერალური წყლებითა და უმშვენიერესი ბუნებით შემკული ბორჯომი მალე მოექცა თვით რუსეთის საიმპერატორო ოჯახისა და არისტოკრატიის ყურადღების ცენტრში. გორში განლაგებულ გრენადერთა პოლკს დაევალა შავ წყალზე ანუ ბორჯომულაზე ჯებირების გაკეთება. კერძო სახლების გვერდით პარკსა, ხეივანსა და თვით ბორჯომულის მოპირდაპირე მხარეს სასტუმროები და მებლირებული ნომრები აშენდა: „ბერლინი„, „სტარო კავალერსკი„, „მინერალნიე ვოდი„ და სხვა.

ადოლფ რემერტის (1835–1902) დაგეგმარებით პეტერბურგისა და მოსკოვის პარკების მიხედვით გაკეთდა ბორჯომის პარკი და ოლღას ხიდი. ასეთ პირობებში ბორჯომის ჰაერი, წყალი მაცოცხლებული იყო ავადმყოფთა თუ ჯანმრთელთათვის, განსაკუთრებით სეზონის პერიოდში, რასაც ხელს უწყობდა 8–11 საათამდე ცეკვებით, ბავშვთა გასართობი დღეებით და სხვა. უამრავი მნახველი ჰყოლია ბორჯომს, სახელგანთქმული თუ სრულიად უცნობი. აქვე იბმებოდა სასიყვარულო ურთიერთობანი, რომლებიც არაიშვიათად ქორწინებითაც სრულდებოდა.

ერთი ასეთი ისტორია დააკავშირებს ორ ცნობილ ადამიანს ბორჯომში 1888 წელს. ესენია: შემდგომში გამოჩენილი მწერალი, რელიგიური ფილოსოფოსი, დიმიტრი სერგეევიჩ მერეჟკოვსკი (1866–1941) და ზინაიდა ნიკოლაევნა გიპიუსი (1868–1945). ისინი სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს სრულიად შემთხვევით.

ზინაიდა გიპიუსის ჩანაწერებმა შემოგვინახა დეტალები ამ შეხვედრისა.

ახალგაზრდა დიმიტრი მერეჟკოვსკის, რომელიც უკვე აქვეყნებდა თავის ლექსებს რუსულ ლიტერატურულ ჟურნალებში, პოეტ მინსკისთან ერთად მოგზაურობის დროს, უეცრად გადაუწყვეტია საქართველოს სამხედრო გზით ჩამოსულიყო ამიერკავკასიაში და შემთხვევით (ვიღაცის რჩევით) მოხვდა ბორჯომში. მაისი იდგა და განუწყვეტლივ წვიმდა. ნაცრისფერი ცა, ნესტი, „იმდროისათვის საშინელი სასტუმროები, „კავალერისკში„, მოხვედრა ჯერ ვერ მოახერხა დ. მერეჟსკოვსკიმ და აი, სწორედ ფოსტაში (ელოდა წერილებს დედისგან) შეხვდა ახალგაზრდა ლატვიელს, ფოსტის თანამშრომელს, იაკობსონს, რომელსაც, როგორც გიპიუსი იხსენებს, ერქვა სილა. მან შესთავაზა მერეჟკოვსკის თავისთან გაჩერება, რათა სეზონის დაწყებამდე ცოტა ხანს მაინც მოეცადა. მერეჟკოვსკი წყნარი, თავისებური ახალგაზრდა კაცი დათანხმდა მის შემოთავაზებას. ძველი ფოსტის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო, ალბათ, ეს სახლი – აგარაკი სილა იაკობსონისა, რომელმაც გააცნო იმ დროს ბორჯომში სამკურნალოდ ჩამოსულ გიპიუსების ოჯახსა და თავნება, მწვანეთვალება, ნებისყოფიან ახალგაზრდა ქალს ზინაიდას. ზინაიდა „ჟივოპისნოე ობოზრენიეთი„ იცნობდა ზოგადად ახალგაზრდა პოეტს. აქ ზინას ნაცნობი პოეტი გიმნაზისტი გლოკეც ჩაერია და გაიცნეს ერთმანეთი, კვირას, როტონდაში, საცეკვაო საღამოზე.

ზინაიდას მონათხრობით, როტონდის დარბაზის (ალბათ, ახლანდელი მინერალური წყაროების) გვერდით იყო გრძელი გალერეა, ველური ვაზით შემოგრაგნილი. ამ გალერეაში სეირნობდნენ საცეკვაო საღამოების დროს, ან იქ ისხდნენ და მასლაათობდნენ. ზინაიდამ აქ შენიშნა დედამისი და მის გვერდით გამხდარი, საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი ნაბლისფერი წვერით. ის რაღაცას გაფაციცებით მოუთხრობდა ზინაიდას დედას. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქალიშვილს ფილტვების სისუსტე აღმოაჩნდა, ამიტომ და ფინანსური პირობების გამოც გიპიუსები ვერ დარჩნენ ყირიმში, აგარაკზე და ტიფლისს მიაშურეს ბიძასთან. სეზონის დასაწყისში კი დასასვენებლად ბორჯომს ეწვივნენ. ზინაიდა კეკლუცი გოგონა იყო, იაკობსონი და გლოკე მას „პოეტესას„ უწოდებდნენ. იქნებ გლოკეც უკითხავდა მის ლექსებს მერეჟკოვსკის, მაგრამ ზინაიდა ფიქრობდა, რომ ისინი არ მოეწონებოდა. ამიტომ, როდესაც კადრილის შემდეგ გლოკემ ზინაიდა და დიმიტრი ერთმანეთს გააცნო, ქალი ცივად შეხვდა და ამ დროიდან მოყოლებული ისინი თურმე კამათობდნენ, უფრო ზუსტად კენწლავდნენ ერთიმეორეს. ზინას დედას კი ყმაწვილი მოსწონებია.

დიმიტრი მაშინ 23 წლისა ყოფილა და ბორჯომში დასასვენებლად ჩამოსულ ნაირ–ნაირ ხალხს, რომელთა შორისაც ეს უკანასკნელი ერთგვარად გამოირჩეოდა, „არხაროვცებს„ (უმსგავსებს) უწოდებდა და, შორს ეჭირა რა თავი, ცდილობდა მარტო ყოფილიყო.

იაკობსონმა, რომელსაც ზინაიდა მოსწონდა, მოიტანა ჭორი, რომ მერეჟკოვსკი შეყვარებული იყო აქაურ ქალიშვილზე, გრძელნაწნავიან სონია ყაითმაზოვაზე (გიპიუსის აზრით, ჩეჩენზე წარმოშობით). მერეჟკოვსკი არ უარყოფდა, რომ მას მოსწონდა სონია, ხვდებოდა კიდევაც მას (მაგრამ, როგორც შემდგომში მოუყვა ზინაიდას, აღიზიანებდა მისი დუმილი), ალბათ, ვერ იგებდა, რაზე ელაპარაკებოდნენ. ზინაიდა კი ამ დროს კაპრიზიანი, ამაყი ქალიშვილი, თავისუფლად ლაპარაკობდა პოეზიაზე, შეეძლო კამათიც, თავის დაცვაც.

იმ დროს ხშირად იმართებოდა კავალკანდით სეირნობა. ერთ ღამეს აბასთუმანში, მეორედ „აწყურის ცეცხლზე„, საიდუმლო ადგილას, სადაც ღამით ენთო რაღაც ცეცხლი, რომელიც ქვემოთ, გზიდან, მოჩანდა... ასეთი შეხვედრები დამთავრდა ხელის თხოვნით და ყველასგან გასაოცრად, ზინაიდა დათანხმდა. ეს იყო 11 ივლისს, ოლღის დღეს, როტონდაში ცეკვის (საბავშვო) საღამოზე. ღამე იყო გასაოცარი, ნათელი მთვარისაგან ვერცხლისფრადქცეულ ხეებს შორის დასეირნობდა წყვილი. ზინაიდასთვის ეს იყო მოულოდნელი, მაგრამ მეორე დღეს ისევ შეხვდნენ. მერეჟკოვსკი ესაუბრა მას თავის ოჯახზე, მშობლებზე, პეტერბურგზე, თავის მოგზაურობებზე.

ამის შემდეგ ისინი დღისით გამუდმებით ხვდებოდნენ პარკში, თუ ერთად არ მიდიოდნენ, დიმიტრი სტუმრობდა გიპიუსებს. მათი ნიშნობა არ გამოცხადებულა, ზინაიდაზე შეყვარებულმა იაკობსონმა მერეჟკოვსკი დუელშიც გამოიწვია, მაგრამ დიმიტრიმ მხოლოდ დასცინა მეტოქეს.

ზაფხული დასრულდა. გიპიუსები გაემგზავრნენ ტფილისში, დიმიტრი - პეტერბურში, საქმეების მოსაგვარებლად ქორწინების წინ.

და აი, 1889 წლის 8 იანვარს ტფილისში მიხეილის საავადმყოფოს მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარში შედგა მერეჟკოვსკის ქორწინება ზინაიდა გიპიუსთან, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, უცნაურად, მაგრამ – სამარადისოდ, როგორც თვითონ ზინაიდა იგონებს მოგვიანებით, პარიზში, ემიგრაციაში, ისინი არცერთ დღეს არ დაშორებიან ერთმანეთს. იქნებ ეს იყო ბორჯომში ერთხელ დაბადებული სიყვარულის ხანგრძლივობის საიდუმლოც.

თავად დიმიტრი მერეჟკოვსკი კი მოგვიანებით ბორჯომის შთაბეჭდილებებს აღწერს პერსონაჟი ქალის დისპინა ორბელის „დღიურებში „თავადის ასული დისპინა„ (ნარკვევი ქართველთა ცხოვრებიდან„, რომელიც დაიბეჭდა ყოველთვიურ ჟურნალ „ნივას„ ლიტერატურულ დამატებაში 1895 წ. №8.

ბორჯომში 11 ივნისით იწყება თავადის ასულ დისპინას დღიურები. თუმცა ავტორს უცდია აეწერა ქართველთა ცხოვრება, სამწუხაროდ, უფრო განზოგადებული სახეებია წარმოდგენილი, მაგრამ თვით უსიყვარულოდ, მამისადმი მიცემული პირობის დაცვის ძალით გათხოვილი დისპინას ტრაგედია საინტერესოდაა წარმოდგენილი.

და მაინც ერთი სიყვარულის რეალური ისტორია და ერთიც მხატვრული ნაწარმოები უკავშირდება ბორჯომში დასვენების მშვენიერ ხანას 1888 წლის ზაფხულს.

ეთერ ზარიძე

მწერალთა სახლი

ჩემი ფიქრები ზეცისკენ ილტვის,
მაჩაბლის ქუჩას მივდევ მდუმარი...
დიდი მგოსნების ნაკვალევს ვკოცნი,
ამ წუთისოფლის ერთი სტუმარი.
რადგან მათ კვალზე დგომა მეღირსა,
ალბათ ბედისგან მქონდა დანდობა,
რომ გავხდი მათი თანამოკალმე,
ამ საჩუქრისთვის უფალს მადლობა.
ერის დიდება – მწერალთა სახლი,
რომელსაც ახსოვს ხმები მგოსანთა,
იყვნენ მესაჭე პროგრესის ახლის,
მათ ღმერთი დიდი მადლით მოსავდა.
მაჩაბლის ქუჩა, მწერალთა სახლი,
ერისთვის მუდამ სიბრძნის მრჩეველი,
„ენის, მამულის, სარწმუნოების„
მტკიცე მცველი და გადამრჩენელი.

განუკითხავი დრო

დრო დადგა მეტად განუკითხავი,
არავის ახსოვს მამულზე დარდი,
აქ დაფნის გვირგვინს ირგებს უღირსი,
ღირსეული კი – მათხოვრად დადის.
უსამართლობა ზეიმობს ყველგან,
დაგვიდგა მეტად რთული დროება,
ჩვენს ქვეყანაში არავის ახსოვს
„ენა, მამული, სარწმუნოება„.
გადაგვარების გზაზე დამდგარი
ამას ვერ ხედავს ქართველი ერი,
მტერი კი უკვე კარზე მომდგარი
აკრძალულ სოლოს ხმამაღლა მღერის.
დრო დადგა მეტად განუკითხავი,
არავის ახსოვს მამულზე დარდი,
აქ დაფნის გვირგვინს ირგებს უღირსი,
ღირსეული კი – მათხოვრად დადის.

ქაოსი

მთელი ქვეყანა ჯოჯოხეთად არის ქცეული,
შიმშილს და ყინვას ველარ უძლებს
სუსტი სხეული.
თუმც არჩევანი პროდუქტებზე ძალზე
დიდია,
მაგრამ ყველაფერს ახლა სისხლის
ფასად ყიდიან.
საქართველოში არნახული არის ქაოსი,
ირგვლივ დუმილი მიტოვებულ
სასაფლაოსი.
უმეცართათვის კერპი გახდა ჭამა და სექსი,
არავის უნდა ზნით მაღალი პროზა და ლექსი
სიკეთის ნაცვლად სულში უმალ
ჩაგაფურთხებენ
და ცის წიაღში დედის ხსოვნას
შეგიკურთხებენ.
სიბინძურის და გარყვნილების სუფევს
ჭაობი,
აღვირახსნილი, დაცემული, ურჩი თაობის,
საძებარია ზნით მაღალი, ნაღდი ქართველი
და მომავალიც რას გვიქადის არის ნათელი.

რად გაიხლიჩა ერი შუაზე

რისი ნატო და რისი ევროპა,
გადაიჩეხა უფსკურულში აწმყო...
ჩვენი უღირსი ყოფის შემყურე
ძველ მოგონებებს კარტივით ვაწყობ.
თავს ვინუგეშებ ხვალის იმედით,
თუმც ჩემი ფიქრის თვითონ არ მჯერა,
ამდენი ტანჯვა და განსაცდელი
რად მოგვივლინა ღმერთმა სასჯელად.
ქართველი ქართველს რატომ ემტრობა,
რად გაიხლიჩა ერი შუაზე?
ჩვენ გადაგვარჩენს ახლა ერთობა,
კმარა კუნტრუში სხვების ჭკუაზე.
არ გადაგვარდეს ქართული გენი,
სამშობლოს ახლა სჭირდება შველა!
„ენით, მამულით, სარწმუნოებით„
ერთ მუშტად უნდა შევიკრათ ყველა!

კმარა მოთმენა

დგას საქართველო უფსკრულის პირას,
გაძარცული და პატივაყრილი...
უღირსი ლაღად გადადის ყირას,
გულში უნთია მწვანე აპრილი.
არავის უნდა ჩვენი მოსმენა,
ქართველი კაცი შიმშილით კვდება,
კმარა ამდენი ტანჯვის მოთმენა!
კმარა ქართველის ჩვარივით გდება!!

შემოდგომის ქარი

შემოდგომის ცივი ქარი ქროდა,
ნაცნობ გამზირს მივყვებოდით წყვილად,
მაშინ მხოლოდ ერთი ნატვრა მქონდა,
დღეს ეს ნატვრა დარდით დაიჩრდილა.
წახვედი და მიმატოვე მარტო,
არ უსმინე ჩემი გულის ძახილს,
დღესაც ისევ იმ სიყვარულს ვნატრობ,
სულში ბარდნის ტკივილები თალხი.
მახსოვს ჩვენი თბილი შეხვედრები,
ჭავჭავაძის გამზირი და ვერა...
ფოთოლცვენის სევდიანი ხმები,
შეყვარებულ გულთა წყვილი ძგერა.
ვერ წავშალე იმ წარსულის ხსოვნა,
შემოდგომის ქარი ფოთლებს ფანტავს
განშორებამ თმებზე დამათოვა,
რა ვქნა, თუკი გადამექეც ნატვრად.
(არ უსმინე ჩემი გულის ძახილს,
არ მიენდე გრძნობას წრფელს და მართალს,
ჩემი ნატვრაც დარდით დაიჩრდილა,
კვლავ უშენოდ ვეგებები ზამთარს.

ორიოდ პწკარი

მოქუფრულია საწვიმრად ზეცა,
გული საგულეს აღარ ეტევა...
სიცოცხლის ბილიკს დრო სწრაფად კეცავს
და იმედებზე იწყებს შეტევას,
საღამოს ბინდი, როგორც ძუ მგელი,
მოიპარება ქუჩებში ჩუმად
და ეს პირქუში, შავი ღრუბელი
ვერ მალავს ღვარძლს და საეჭვო გუმანს.
მალე წყვდიადი დაისადგურებს,
იმედებს ნაშლის თვალთმაქცი ყოფა...
დამრჩება მხოლოდ ორიოდ პწკარი,
ამაყი სულის უკვდავსაყოფად.

აი, ასეთი სიყვარული ვიცით ქალებმა

თუ ვინმეს ვეტრფით, მას ზეციურ
არსებად ვსახავთ,
არ ვერიდებით გოლგოთას და სულის
წვალებას,
ყველა ჯებირს და დაბრკოლებას
გმირულად ვლახავთ,
აი, ასეთი სიყვარული ვიცით, ქალებმა.
თუ ვინმეს ვეტრფით, მეცხრე ცაზე
დავფრინავთ მაშინ,
არ ვნანობთ დაგვწვას სიყვარულის
ცეცხლის ალებმა,
არ გაგვერევა საყვედურის სიტყვები ხმაში,
აი, ასეთი სიყვარული ვიცით ქალებმა.
ჩვენი ცხოვრება ემსგავსება
მჩქეფარე მაისს,
რაგინდ იქროლონ განშორების ცივმა
ქარებმა,
ჩვენ ყველა ღალატს ერთგულებით
ვპასუხობთ მაინც,
აი, ასეთი სიყვარული ვიცით ქალებმა.
თუ ვინმე გვიყვარს, ვნების ცეცხლში
მგზნებარედ ვიწვით,
არ ვუშინდებით გოლგოთას და სულის
წვალებას,
სანატრელ თვალებს არ შევხედავთ ბოღმით
და ეჭვით,
აი, ასეთი სიყვარული ვიცით ქალებმა.

დოდო ჭუმბურიძე – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი დოდო პავლეს ასული ჭუმბურიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო დოდო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, ქართველ ისტორიოგრაფთა ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 70 წლისთავს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო და საყურადღებო შემოქმედებითი ცხოვრება. 1963 წელს გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები და მას შემდეგ თქვენი მრავალწახნაგოვანი შემოქმედება, რომელიც თანამედროვე ქართული მწერლობის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, დამსახურებული მოწონებითა და აღიარებით სარგებლობს.

ამის დასტურია თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „გაზაფხული“ , „გადაიხედე ჩემი გულიდან“ , „შემოდგომის ტყე“ , „ბედისწერის ნიშანი“ , „მრავალძარღვას ფოთოლი მღერის“ , „ვარსკვლავებსა და მცხეთის ჯვარს შორის“ , „სამკაულები ამოვირჩიე“ , „სანთლების ხეივანი“ , „წვიმა მოთიბულ მდელოზე“ , „სინათლე ბალახის ფესვიდან“ ... ამ კრებულებში დაივანა თქვენმა პოეტურმა ენერგიამ, ძალმოსილებამ, თქვენმა ხილვებმა თუ ზმანებებმა, თქვენმა მარადიულმა ოცნებამ უკეთეს საქართველოზე, ღრმა დაფიქრებამ მის წარსულსა თუ აწმყოზე, ურვამ და გოდებამ გარდასულ დიდებათა გამო, დიდი სიყვარულის ნიჭმა, პატიოსნებისა და სათნოების იდეალების ერთგულებამ, ყოველივე იმან, რაც ჭეშმარიტი პოეზიის დაბადების საწინდრად მიჩნეოდა ოდითგანვე.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს ინტერესით ეცნობიან ბულგარელი, სომეხი, რუსი, ოსი და აფხაზი მკითხველები.

თავადაც ჩინებულად თარგმნეთ ალექსანდრე პუშინის, მიხეილ ლერმონტოვის, ევგენი ევტუშენკოს, ბელა ახმადულინას, ნელი თარბას, ვანო თარბას, კონსტანტინე გერხელიას, რევაზ ასაევის ლექსები.

დახვეწილი გემოვნებითა და აღღოთი გამოირჩევა თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რევაზ მარგიანის, გივი გეგეჭკორის, გურამ გეგეშიძის, ეთერ სახვაძის შემოქმედებას რომ მიუძღვენით.

ფართო საზოგადოება გიცნობთ, როგორც საქართველოს ისტორიის მეტად სერიოზულ მკვლევარს. თქვენი საკანდიდატო („დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი საქართველოში“ – 1981) და სადოქტორო („სახელმწიფო იდეოლოგია და პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ – 2000 წ.) დისერტაციები ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. ამას გარდა თქვენს კალამს ეკუთვნის ათზე მეტი მონოგრაფია და მრავალი სტატია. ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ისტორიული პორტრეტები XVIII-XX საუკუნეების გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეებზე, ისეთებზე, როგორნიც იყვნენ ვახტანგ VI, ალექსანდრე ბატონიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი – მაიაშვილი, კიტა აბაშიძე...

სხვადასხვა დროს მუშაობდით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად, ჟურნალ „განთიადის“ განყოფილების გამგედ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ლიტმუშაკად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად. იყავით თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტისა და დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პრორექტორი, თელავის უნივერსიტეტის სადისერტაციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი, კითხულობდით ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში...

თქვენი გულისხმიერება, პროფესიონალიზმი, მოყვასის სიყვარული მართლაც რომ სამაგალითოა.

ჩვენო დოდო!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ პოეტს, მეცნიერს, ბანოვანს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს თქვენს აგრერიგად საჭირო მოღვაწეობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მარინა თექთუმანიძე – 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მარინა ვლადიმერის ასული თექთუმანიძე. ამის **გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ქალბატონო მარინა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ მწერალსა და ჟურნალისტს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 60 წელს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 2000 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „გაზაფხული უშენობით ცივი“ , „დაგელოდები ბეთხოვენის დავინყებამდე“ და „შინ დაბრუნება“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა სათქმელის ნათლად და სადად გადმოცემისთვის, მეტაფორული აზროვნებისთვის, ადამიანური ბედნიერებისკენ დაუოკებელი სწრაფვის სურვილისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენს მოულოდნელად მკაცრზე მკაცრ საუკუნეშიც კი ახერხებთ უნაზესი სულიერი განცდების ფაქიზად, მაგრამ შეულამაზებლად გადმოცემას...

თქვენი საუკეთესო ლექსები თარგმნილია ინგლისურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ თქვენ აშშ-ის ტეხასის შტატის დედაქალაქ ოსტინში გამართული ლიტერატურული ფესტივალის ლაურეატი ბრძანდებით.

მართლაც რომ ჩინებული ჟურნალისტი ხართ. თქვენი პუბლიცისტური წერილები პრინციპულობითა და პრობლემების არსში ღრმა წვდომით გამოირჩევა.

წლების განმავლობაში იყავით გაზეთ „ნერგის“ მთავარი რედაქტორი და ფრთხილად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აზიარებდით პატარებს სიკეთისა და სათნოების იდეალებს, ზრდიდით ქვეყნის პირნათელ მოქალაქეებად... საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ბრძანდებით. სრულყოფილად იცნობთ ქართველ ჟურნალისტთა კორპუსს და გული გიკვდებათ იმის შემხედვარეს, რომ მათი დიდი უმრავლესობა კლანებისა და სახელგატეხილი პარტიების დაქირავებულ ლაქიებადაა ქცეული...

გვიხარია, რომ მონიჭებული გაქვთ „შოთაობის“ (მესხეთი) პრემია.

ჩვენო მარინა!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს მშვენიერ შემოქმედსა და ქალბატონს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ფარნა რაინა – 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფარნა რაინა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ფარნა!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის თელავური გუნდის ბურჯსა და წინამძღოლს, სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეულ ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1954 წელს შედგა, როცა რუსთავის საქალაქო გაზეთ „მეტალურგში“ პირველი ლექსი დაბეჭდეთ. მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში თქვენ თქვენთვის ჩვეული პატიოსნებით, დინჯად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდით და ემსახურებით მშობელ ქვეყანას, მშობლიურ მწერლობას, ქართულ ლექსს...

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი სტორის – თუშეთის ულამაზესი მდინარის პირას დგას და იქიდან ულამაზეს ფარდაგად გადაშლილ საქართველოს ლოცავს და ეს ლოცვა რაღაც ჯადოსნური ძალით დიდგორამდეც აღწევს, ბასიანამდეც, შამქორამდეც, ასპინძამდეც და კრწანისის სანახებამდეც. სტორი კი – ეს დამფრთხალი ულაყი ჭიხვინით გარბის ხევ-ხევ...

თქვენმა საუკეთესო ლექსებმა ერთ, მართლაც რომ სიფრიფანა კრებულში დაივანა, „თუშური მოზაიკა“ რომ ჰქვია სახელად. ამ კრებულს ძალუმად ატყვია ქართული ნიჭიერების კვალიცა და ერთგულებასთან შეზრდილი დიდი სიყვარულის ათინათიც. მისი გაცნობისას ყველა დაგვეთანხმება, რომ საქართველოა თქვენი უპირველესი საფიცარი და საესავი. თუში კაცის სიმტკიცითა და შეუვალობით ემსახურებით მამულს და მის სადიდებლად ალალ, პატიოსან სტრიქონებს აღავლენთ მაცხოვარის წინაშე. უშიშარსა და გულადს თუ რამ გაშინებთ, ის გაშინებთ, რომ ცოცხლად არ დავიმარხოთ ქართველები, ცოცხლად დამარხვა კი სირცხვილმა იცის, საკუთარ ფესვებს საკუთარი ნებითვე რომ გადაჭრი, საკუთარ რჯულს რომ უღალატებ, საკუთარ ტრადიციებს რომ გათელავ ფეხქვეშ, იმით გამოწვეულმა სირცხვილმა. თუ გეშინიათ, სწორედ ამის გეშინიათ, ჩვენო კეთილო და სამშობლოზე ფიქრში გათეთრებულო მეციხოვნევ ივერთა მიწისა.

თქვენი სახით კახეთს, საქართველოს ამ უმშვენიერეს ლიბოს, ერთი ღირსეული ჭირისუფალი ჰყავს, ხალხოსნების დარად რომ იღვწინა, რათა ქართული სულიერება ჩქეფდეს ერეკლე მეფის ნაფუძარზე. სხვადასხვა დროს რედაქტორობდით გაზეთებს „კოლმეურნის ხმას“ , „განახლებულ თუშეთს“ , „ბახტრიონს“ , იყავით ალმანახ „ალაზნის“ რედაქტორის მოადგილე. 2004 წლიდან ხელმძღვანელობთ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“ ...

მონიჭებული გაქვთ ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის სახელობისა და ჟურნალ „ოლეს“ პრემიები, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება, - ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ .

წლები ვერარას აკლებს თქვენს პოეტურ შთაგონებას. არ დამცხრალხართ, არ დაოკებულხართ, არ შემოგკლებიათ ლექსის საფანელი. დღესაც გატაცებით ეძიებთ ქართული ლექსის ახალ გამომსახველობით საშუალებებს და ამის ჩინებული დასტურია თქვენი კატრენები, რომლებსაც სიძაბუნისა არაფერი ეტყობა...

ჩვენო ფარნა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საქართველოს გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მიხეილ მახარაძე – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ქაზიმის ძე მახარაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო მიხეილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მრავალწახნაგოვან შემოქმედს, მეცნიერს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

მრავალმხრივია თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო. ქართველი მკითხველი თქვენ გიცნობთ, როგორც ძალზე მნიშვნელოვან მეცნიერს, მთარგმნელს, ლიტერატურის კრიტიკოსს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1986 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა თქვენი წერილი „სხალთის ხეობის მშვენება“ , სხალთის ეკლესიას რომ ეძღვნებოდა. მას შემდეგ ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევით და თქვენი წვლილიც შეგაქვთ ქართული სულიერების განმტკიცებაში.

უპირველესად, მართლაც რომ მნიშვნელოვანია თქვენი ღვაწლი ქართული ფილოსოფიის ისტორიის გააზრებაში. თქვენი საკანდიდატო („პირველი მიზეზის პრობლემა ნეოპლატონიზმში“ – 1978 წ.) და სადოქტორო („არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“ – 1989 წ.) დისერტაციები მშვენიერი დასტურია თქვენი ფართო თვალსაწიერისა, ღრმა ერუდიციისა, ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებში უტყუარი და შეუმცდარი წვდომისა... ამის დასტურია თქვენი ცხრა მონოგრაფია და 10-ზე მეტი სამეცნიერო-პოპულარული და პუბლიცისტური კრებულები; ამის დასტურია ის 450-ზე მეტი სტატია, რომლებიც ითარგმნა ინგლისურ, უკრაინულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ, ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის რედაქტორად, თსუ ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს წევრად, თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორად, თავდაცვის ეროვნული აკადემიის საპატიო პროფესორად; თსუ-ში, აგრარულ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, კულტურის ინტიტუტში კითხულობდით ლექციებს შუა საუკუნეების, აღორძინების ეპოქის, მე-20 საუკუნის დასავლეთისა და ქართულ ფილოსოფიაზე. ამჟამად კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და პროგრამის ხელმძღვანელი ბრძანდებით.

ძალზე საყურადღებოა თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობა. სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ვლადიმერ სოლოვიოვის „მუჰამედს“ , ალექსეი ლოსევის „აღმოსავლურ რენესანსს“ , ალექსანდრ მენის „ქრისტეს პიროვნებას“ და „ხელოვანის ზნეობრივ მისიას“ ...

ყურადღებას იქცევს თქვენი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების კრებულები („გამხელილი ფიქრები“ , „სხალთის ზარები“ , „სხალთის ზარების ექო“ , „ავანტიურა აჭარის სახელით“), რომლებშიც დიდი სიყვარულით ქმნით ქართული მწერლობისა და კინოს კორიფეების პორტრეტებს.

არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად,აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ევროსაბჭოს შავი ზღვის ევრორეგიონის კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად...

დაჯილდოებული ბრძანდებით ღირსების, ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიები, შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემია.

ჩვენთვის, თქვენი კოლეგებისთვით, მთავარი ის გახლავთ, რომ სადაც არ უნდა გემუშავათ, ყველგან ადამიანური სისადავე და უბრალოება გამოგარჩევდათ, ყველგან ღირსების გრძნობით მოღვაწეობდით და არასოდეს შეგიბღალავთ ქართველი მწერლის სახელი.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

შოთა ლეჟავა

***

საქართველოვ, სხეული ხარ
ჩემი ტანისა,
უშენობას ვერ ავიტან
მოკვდე ხვალისა
თუ აქამდე სპარს–თურქ–სელჩუკი
იყო ბრალისა
ახლა, აწიც დამიფარე
რუს ავ თვალისა.
ბაჯაღლო ხარ, ვით ბეჭედში
ჩასმულ თვალისა,
საქართველოვ, შესადარო
მზის და მთვარისა.
აწი მაინც დამიფარე
უცხო თვალისა.

ყველა ქვეყნის ხელმძღვანელებს

I ვარიანტი
ბუდის ბარტყივით დააღეთ პირი
ჩაყლაპეთ ბუზი, ჭია მიწისა,
სიკვდილი იცი ჯიბეში გიდევთ
და საკმეველი კეცზე იწვისა.

II ვარიანტი
ბუდის ბარტყივით დააღეთ პირი
და ჩაგიდებენ ლუკმას დალეჭილს,
გულს დაგაყრიან ერთ მუჭა მიწას
პირდაღებულს და კბილებდაღრეჭილს.

***

ორ ზღვას შორის ოქროს ზოდი
ფცქენა–ტეხვაში დაილია
„შენ ხარ ვენახი", მამულო,
შავი ღვინით დაილია.
პწკენ–პწენაში დედოფალი
დაორსულდა, დაილია
წვეთ–წვეთობით, ფცქვნა–ტეხვაში
საქართველო დაილია.
ჩვენი სული ცას ....
ჩვენი გული გაილია.
ორ ზღვას შორის, ფცვნა–ტეხვაში
ოქროს ზოლი დაილია.

მამულო ჩემო!

მამულო შენთვის, მამულო,
მე სანთლად ჩამოვიქნები,
ტუჩზე რძე შეუშრობელი
ყოველთვის ასე ვიქნები.

ხატის წინ მე, სანთლით ხელში
ზეცაში გარდავიქნები.
თოვდა, თოვდა, როგორ თოვდა,
თითქოს ატმის რტოს ათოვდა.
ჩემს წინ იდექ, ვერ გხედავდი,
ისე თოვდა, ისე თოვდა.

ახლოს იყავ, ვერა ვგრძნობდი
მე შენ სითბოს, ისე თოვდა,
ვერაფერი ვერ გავიგე,
თვითონ თოვლი რასა მთხოვდა.
თოვდა, თოვდა, როგორ თოვდა,
თურმე შენთან ყოფნას მთხოვდა.
ისე თოვდა, ისე თოვდა,
თოვლი კიდევ რასა მთხოვდა,
დედოფლისას შენთან მთხოვდა.
და შენ კოცნას, როგორ მთხოვდა.

შენს ნაწნავზე ისე თოვდა,
თავის ჩამოხრჩობას მთხოვდა,
შენთან ყოფნას სული მთხოვდა
ისე თოვდა, ისე თოვდა.

***

ორ ზღვას შორის მდებარე ხარ,
უბედურო საქართველო.

საქართველოვ, რაც აქამდე
იქაცმაცურე
ახლა გინდა შენ კაცობა
იკაცკაცურე.
ოკეანის ნაპირს დგახარ
იქაცგაცურე,
დაეტიე შენს მიწაზე
იკაცკაცურე.
„შენ ხარ ვენახი" მამულში
იქაცმაცურე.

სულო ქართულო!

შენ ჩემო „სულო ქართულო"
ბუნაგო პოეზიისა,
დანტეს ყბის მონათესავე
ქართულ მიწის, ცის და მზისა.

***

ჩემო შოთა, რატომ გინდა,
მაღლა ნახვა ღმერთის ცაზე,
შენ ღმერთებმა მოგცა ნიჭი
ნუ ივიწყებ ღმერთებს ცაზე,
შენს ბუნაგში იყავ წყნარად
და იფიქრე იცი რაზე,
ღმერთიცა ხარ, კაციცა ხარ,
ქართველი ხარ შენს მიწაზე,
მანამ ვიქნები ლამაზი,
სანამ საქართველო მქვია.
არ იციან საიდან ვარ,
საქართველო რატომ მქვია
არც სახელი, და არც გვარი.
არც ადგილი არ იციან.
სად და როდის დავიბადე
ის ადგილიც არ იციან.
ორ ზღვას შორის იმ ოქროს ზოდს,
საქართველო რატომ გქვია?
იმიტომ, რომ მზის და მთვარის
ვარსკვლავების ქვეყნად თვლიან,
ეს ხომ ჩემი სამშობლოა,
საქართველო მიტომ გქვია.

ეჰ, გალაკტიონ, ჩამავალ მზეს, ჩამავალს

გალაკტიონ, მე შენზე უფრო
მარტო ვიყავი, ახლაც მარტო ვარ.
ვერ ვცნობდი, ვერ ვცნობ გამვლელ–გამომვლელს,
მე ჩამავალ მზეს ვხედავ – დავდივარ.

***

მთვარე დააცხრა მდინარეს,
როგორც ქორი წიწილებსო,
ლიფსიტებმა ჩემებრ ირგვლივ
ცეკვა–თამაში იწყესო.

ლიფსიტები მთვარის შუქზე
გვანან ძუძუ მწოველებსო,
ვეფერები ისე, როგორც,
ვით დედა თავის შვილებსო.

***

სანთელი ვარ მთაწმინდის და სიონის
სისხლი მე ვარ არაგვ–მტკვრის და რიონის,
მიწა მე ვარ მთელი კავკასიონის,
სული მე ვარ სასუფევლის ციონის,
ხატი მე ვარ საქართველოს – იონის.

***

ჩემო შოთა, ნუ უჯერებ
ჭორებსა და იმ თქმებსაო,
რაც გინახავს, ველარ ნახავ
იმ ოცდათექვსმეტს წელსაო.

ორი ათასს ოცდათექვსმეტს
გავარჩევთ ჭორებს, თქმებსაო,
შენს მოვლენას დავარქმევდი
ლეგენდებს და მითებსაო,
ეს მოვლენა მივაწეროთ
სიცილსა და გლოვებსაო.

***

რა იქნება, საქართველო, ხვალე,
საქართველოვ, შენ კი გეხვანხვალე,
ცხენოსნები დაგადევნე გზაში,
ვერ გიპოვე ვერც გზაში და ზღვაში.

ვინ გაყიდა საქართველო

მე გავყიდე საქართველო,
შენ გაყიდე საქართველო,
მან გაყიდა საქართველო,
ყველამ ერთად, ყველამ ერთად
ჩვენ გავყიდეთ საქართველო.
ვეძებ, ვეძებ მთას და მდელოს,
ნეტავ, სად ხარ, საქართველოვ,
მზე, მთვარე და ვარსკვლავები,
აი, ჩემი საქართველო.
დავინახე საქართველო,
სად ყოფილა საქართველო,
გაყიდული საქართველო.

***

საქართველო, რად ვერ გხედავ,
ნეტავ, საით მიდიხარო?
ოკეანის ნაპირს დგახარ
ალბათ ყრუ–მუნჯი–ბრმა ხარო.
ტირის, ტირის, ო! რას ტირის
ჩემი ეზოს ჩიტი,
ვეკითხები, რა გატირებს?
მეტირება, ვტირი.
არც ბუდე და არც შვილები,
ამიტომაც ვტირი.
ახლა ვიგონებ იმ ჩიტის ტირილს
და ღაპაღუპით ცრემლები მომდის,
ჩემი ცრემლები ჩიტის ცრემლებთან
არაფერია – არა.

***

მე ურემზე დავიბადე,
ვუმზერ პლანეტებსო,
სადაა ჩემი დედამიწა,
ველარ ვხედავ მზესო.

მე ურემზე ვზივარ, ვფიქრობ
პოეზიაზეო,
ორ ზღვას შორის დავინახე
საქართველოს მზეო.

ემიგრანტი ქალები

წარმოშობით ლეჩხუმის მკვიდრს, ნუნუ ღურჭუმალიძეს, საბერძნეთის ემიგრაცია იცნობს, როგორც უდრეკი სულის და კეთილშობილური გულის ადამიანს, ქველმოქმედს და შემოქმედს.

წერს და საქმიანობს მისი კეთილშობილური პიროვნული თვისებების შესაბამისი განწყობით და უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით.

არის უმაღლესი კატეგორიის მათემატიკის მასწავლებელი, დამფუძნებელი და თავმჯდომარე საქველმოქმედო ქალთა ორგანიზაციის „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირი“, დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ჟურნალის „ემიგრანტი ქალი“. გამოცემული აქვს წიგნები ქართულ და ბერძნულ ენებზე. არის საქართველოს მწერალთა კავშირის და იუნესკოს მწერალთა და ხელოვანთა კავშირის წევრი. ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში.

ნუნუ ღურჭუმალიძე

შვილიშვილო!

ჩვენს მიწაზე ახლა მუხლებს იმაგრებ,
ხვალისთვის რომ აიფოფრო ლომივით,
შენ ხარ ჩემი დიდი ციხესიმაგრე,
ხვალინდელი საქართველოს ლოდინი.
ძლიერი ხარ? – აბა, მომეც იმედი
არ დაგჩაგროს მავანმა და მავანმა,
არ დაგახრჩოს ამღვრეულმა მდინარემ,
არ წაგიღოს გამვლელმა ქარავანმა.
ლეჩაქი არ დაიხურო მხდალივით,
სჯობს ვაჟკაცად მოკვდე, ისე იარო,
არ შეჩერდე, იბრძოლე და იმარჯვე,
სისხლო ჩემო, ჩემო - არა ზიარო.
შენ ხარ ჩემი დიდი ციხესიმაგრე,
მე ფესვები, შენი ძირის სიმაგრე.
არ დაეცე, იბრძოლე და იარე
იქნებ ერთად მოვუაროთ
საქართველოს იარებს.
სისხლო ჩემო, ჩემო არა ზიარო,
მამულისთვის გახდი წყარო ანკარა.
შვილიშვილო, ერთად თუ არ ვიარეთ
არაფერი არ გამოვა სხვაგვარად.
უქარქაშო ხმალი მარჯვედ იხმარე,
მტერს უთხარი: „ჩემი დროა დამდგარი.“
აბა, ბიჭო, გაიზარდე, იჩქარე,
გელოდება შემართული ქართველების ლაშქარი.
ადექ, დადგი დავითივით ნაბიჯი
და გასძახე ამ გორიდან იმ გორზე:
ქართველებო, ერთად ვიყოთ, რა გვიჭირს,
გამარჯვება ვიზეიმოთ დიდგორზე.
არ დალიო? – არა, მიდი, დალიე.
დალიე და ადღეგრძელე მამული,
იცეკვე და შემოსძახე სიმღერა,
აადუღე ძარღვში სისხლი ქართული.
ჩვენს მიწაზე ახლა მუხლებს იმაგრებ,
ხვალისთვის რომ აიფოფრო ლომივით,
შენ ხარ ჩემი დიდი ციხესიმაგრე,
ხვალინდელი საქართველოს ლოდინი.

მწვანე ზეწარი

მსურს მალე წავიდეს
ეს ცივი ზამთარი,
ყინვა წაიყოლოს და
სითბო მოგიტანო,
პეშვით მოგართვა
თოვლი დამდნარი,
წყალი დაგისხა და
ვარდი მოგპარო.
იმ მწვანე ზეწარზე
გვერდით მოგიწვე,
წამი გავწელო,
წამი დავითვალო,
შენი სხეული
სუნთქვად ვაქციო და
გულში ჩაგიხუტო,
ჩემო ნატვრისთვალო.
ბებერ წლებს მინდა
გვერდი გავუმაგრო,
თავი ვახეთქო და
თავი გავიბზარო,
სარკე ნამსხვრევებად
ვაქციო და
შენ გამოგედევნო
ქარო, – ნატვრის ქალო.
ისევ სიჭაბუკე
ანცად წამიყოლებს,
ვნების ქარ-ცეცხლში
კვლავ ჩავიძირებით,
მარადიულობის
სურვილ-სატანჯველში
აკვნესდებიან
გრძნობის წიწილები.
გორგალ-დედამიწა
გვერდს მიიცვლ-მოიცვლის,
ხან თოვლს მოიკიდებს,
ხან მზის სხივს აისხამს,
მწვანე ზეწარი ხვალ
სხვისთვის მოიცლის,
სულ სხვას ჩაიხუტებს
ზეგ და გაისად.
ამ მაცდუნებელ
ტკბილ ტკივილეთში
ისევ ითამაშებს
გული და ყვავები,
კარტს გადაშლიან და
მოგვინადირებს
მწვანე ზეწარი და
ცისფერი თვალები.
... და შენ, ... და მე,
წამი ბედნიერი
ურჩად მოგვატყუებს
მისი ნეტარებით;
კვლავ წაიშლება,
კვალი ჩვენმიერი,
ზღაპარს მოყვებიან
აგურის ქალები.

ექსკურსია დედამიწაზე

მზის ცეცხლზე იწვება უდაბნოს ქვიშა,
სურს თუ არა სურს, მაინც ცხელია,
რა უყოს კაცმა ბევრ კითხვის ნიშანს,
თუ კითხვის ნიშანი წერტილზე ბევრია?
ცხელ უდაბნოში ყვავილებს ეძებს,
ეძებს წყაროს და... ვერსად მონახა.
...და გადაღლილი ძებნისგან შემდეგ
აკეთებს ღორის დინგის მონახაზს.
,,ღრუტ-ღრუტ“, – დაიწყებს ღორივით
ღრუტუნს
და მისი კუჭი დიდი გახდება,
მიწის ქვევიდან დასცინებს მუდუც
და კაცი კაცად უფრო წახდება.
... ბოლოს მიხვდება, მხოლოდ კუჭია,
სხვა რეფლექსები გაქრა და აღარ... –
დედამიწაზე ეს ექსკურსია
დატოვებს მხოლოდ მძორსა და ნაგავს.

წუთისოფელი

მოგესალმები მე შენ შორიდან,
ჩვენს შორის გზაა ძალიან გრძელი,
გზას ვამბობ, თუმცა, აბა,რა გზაა,
როცა ამ გზიდან არავის ელი?
როცა ფიქრები ჩეხენ მოლოდინს,
და ზღაპარს ბავშვიც აღარ იჯერებს,
როცა ჩაიწვი, იგრძნობ ბოლომდე,
როცა ცხოვრების ცრემლებს იგემებ.
როცა ეშაფოტს შენ ვერ მოირგებ,
და ვერ მიაღწევ მაინც საწადელს,-
ამ თამაშსაც კი, რომ ვერ მოიგებ,
სასოწარკვეთით იტყვი, - მაცადეთ!
ღრუბლებს აკუწავს ქარი და წვიმა,
ცხოვრება გიცვლის ათას კალაპოტს,
ბოლო დასკვნამდე სანამდე მიხვალ,
საკუთარ სხეულს გული გააპობს.
შემდეგ შეხედავ საბრალო წამებს,
საუკუნეებს რომ ეცილება,
სარკეს აბარებ ბოლო ანგარიშს,
და ... საკუთარ თავზე მწარედ გეცინება.
არ დაგიტოვებს შენსას არაფერს,
სულ სხვა იქნები შენგან წასული
და დაუყვები, როცა ქარაფებს
შენვე გაგყვება შენი წარსული.

გელუკა ბუიღლიშვილი

წუხელ ტბაში ჩავარდნილა მთვარე

წუხელ ტბაში ჩავარდნილა მთვარე,
შუა წყალში ვარსკვლავები ყრია.
ალბათ, მეტი აღარ ძალუძს
ცის მკერდს,
დაიკავოს, რაც ზედ აკიდია.
არ დაიხრჩვეს, არ დაიხრჩვეს
ჩქარა!
მშველელები ცხარედ მიმორბიან,
არ კარგავენ გადარჩენის იმედს,
მალე დილას ველოდებით, მზიანს.
და როს დადგა ალიონი დილის,
მზის სხივებით შეიმოსა არე.
ტბის ნაპირზე ორი ბავშვი ტირის:
„დაიხრჩვაო ჩვენი კარგი მთვარე...“

იწამეთ ღმერთი!

მოვა დრო ქვეყნად იქნება ბნელი,
წყვდიადი შთანთქავს კოსმიურ
სივრცეს,
მოხდება ყველა მოუხდენელი,--
რომ ეს სამყარო ერთხმად
დაიქცეს.
დაიმსხვრევიან ცაში ვარსკვლავნი,
ჯანღი დაფარავს მზესა და
მთვარეს,
დაირღვევიან მთანი მაღალნი,
ჩაინთქმებიან ზღვას და მდინარეს.
ატყდება გრგვინვა და ქარიშხალი,
შავ უფსკრულებში დაიწყებს ღმუილს,
და დედამიწის გულის ფიცარი
შეეჭიდება ვაის და ვუის.
ორთქლადქცეული ბირთვული ლავა
ძარღვებს დააგლეჯს დალეწილ
ქაოსს,
იქ მეცხრე ცაზე ეშმაკი ავა,
ნგრევის პროცესი რომ
გაათავოს...
და იქ, შორიდან ...
შორ კოსმოსიდან
სინათლის სხივი წამოვა ერთი,
უსაზღვრო სივრცეს დაეწერება:
ი-წ-ა-მ-ე-თ ღ-მ-ე-რ-თ-ი!

მანანა ზაზიკაშვილი

მე და შენ

მე და შენ შევრჩით ერთმანეთს,
სხვები მოდიან, მიდიან,
ჩვენ შორის მტკიცე, ურყევი,
კვლავ მეგობრობის ხიდია.
ორივეს გვიჭირს ცხოვრება,
უერთმანეთოდ გაძლება,
უარყოფითი გრძნობები,
აქამდე როგორ გაძლებდა?!
ორივე ამტანები ვართ,
ორივე ნაღდი, დამთმობი,
ბევრ ზამთრის ღამეს, ჩემს ოთახს,
შენზე ფიქრებით ვათბობდი.
შენი ხმა ისე მამშვიდებს,
როგორც ფრინველთა გალობა,
ღმერთმა მაჩუქა ამ ქვეყნად,
შენგან, ეს დიდი წყალობა.

ცოდვილი მიწა

არ თოვს და
არ წვიმს,
გახედეთ არწივს,
კლდესთან აკეთებს
ლამაზ ირაოს,
ხომ არა ცდილობს,
ცოდვილი მიწა,
მაგარი ფრთებით
ააყირაოს?!

მურმან ვახანია

საოცრებათა საოცრება

შენ ერთადერთო საოცრებავ,
მამულო ჩემო, იმ ჩემს ფიქრებში,
ეს მერე მოდის, მირაჟივით,
ფარაონთა პირამიდები!
გავაოცებდი სემირამიდას შენი
ბაღებით,
საოცრებათა საოცრებავ, შენი
ვარდებით!
უზენაესო საოცრებავ, ზევსზე
მაღალო,
არტემიდეზე რით ხარ ნაკლები,
მცხეთის ტაძარო!
რას გამაოცებს სხვათა და სხვათა
ციხე-დარბაზი,-
ჰალიკარნასზე ლამაზი გაქვს
მთათა პარნასი!
მზის დონეზე ხარ მიჯაჭვული ქედზე,
ამირან!
სხვა საოცრება, თუ გწამს ღმერთი,
მეტი რა გინდა?

ვაჟაურა

ვაჟას დაჭრილმა არწივმა
ვერ მოიშუშა იარა?
ვერ დაერია ყვავ-ყორნებს
რიხიან-ომახიანად?
ვერ გაიხარა შვლის ნუკრმა,
დაობლებულმა ადრიან?
ხმელი წიფელის ყლორტები
ვერ აშოლტილან ტანითა?
ვერ აღიდგინა მისნობა
გველისმჭამელმა მინდიამ?
ვაჟას თუ ელოდებიან,
ვაჟა მთაწმინდის მკვიდრია!
...რას უბნობ,ლექსო,რას როშავ!
რითმა რას გაგიქლესია!
ვაჟას საფლავში რა უნდა?!
ვაჟა ცოცხალი ლექსია!
რაც გავიარეთ ვაჟადან,
რა? -შორი სანახავია?
წუთისოფლისა საზომით
ჟამს გაფრენილი წამია!
ვაჟას გარეშე აკაკი?!
ვაჟას გარეშე ილია?!
ვაჟას გარეშე ნათქვამი
ღატაკია და მწირია!
ვაჟას გარეშე ფშავი და
ჭაღარა კავკასიონი?!
,,უვაჟაუროდ მე ვინ ვარ?!,,
-ბობოქრობს გალაკტიონი
ლექსო, გეყოფა წუწუნი,
მხოლოდ ნარსული არ კმარა!
შეხედე,-ვაჟას არწივმა
ლურჯ ცაზე გაინავარდა!
დაობლებული შვლის ნუკრი
წინაღამ დედა გამხდარა,
წიფლის ხის ამონაყარმა
ტოტები ლაღად გაშალა!
ჯოყოლა ზვიადაურთან
მთის ტაფობზედა დამჯდარა,
თვალდანამულმა აღაზამ
ლამაზად სუფრა გაშალა!
ბილიკს მოჰყვება ალუდა,
მოჰყავს ზვარაკად კურატი,
წინ ეგებება ღიმილით
მარჯვენას უწვდის მუცალი.
ლექსო, გამხნევდი, იქუხე,
ივაჟაურე ლაღადა!
მკვდრეთით აღმდგარი ლუხუმი
ლაშარის გორზე შამდგარა!

ლია ჭაბაშვილი

მინიატურები

შემოდგომა

შემოდგომის სექტემბრის თვის ტკბილი სივრცე, ქარვისფერი ფოთოლცვენა ყვითელ მზეში, დილის გრილი სასოება, შუადღისას – მზის სხივების კბენა – ტკბილი სამშვინველი.

ეს სიცოცხლე, სულ ამ თვეში ჩატეულა, გაგრძნობინებს სიტკბოებას არსებობის, გულში ჩადის და გულიდან ამოსული ვარდ–ყვავილად ეფინება სივრცეს – ქვეყნის.

განფენილა ირგვლივ მხოლოდ სიმშვიდე და, სიმშვიდეში ვიძირები ბომონივით.

სასუფეველი იწყება მიწიდან

დღისა და ღამის გასაყარის ისმა სიმღერა, ცისა და მიწის გამყოფ ზოლზე გაკრთა, გაჟღერდა. ციურ ანგელოზთ ხმები მიწას მსწრაფლ მოევლინა, ანგელოზთ სრბოლა თვალთა კიდეს გასცდა, გასცილდა, მერე ჩამოწვა ღამის ბინდი, მერე გათენდა, მერე მზის სხივის სიმებს მოჰყვა ნაზი მუსიკა, მის სხივზე წმინდათ მონანავე ანგელოზთ მღერა – ცისა და მიწის ჰარმონია, ერთობა ღმერთთან.

თავისუფლება

ძალმოსილებას ვიხვეჭთ მხოლოდ ღვთის სათნოებით, გული აღვსილი სიყვარულით უფალს ედრება და როცა გიყვარს: მტერიც, მოძულეც, თავს ცოდვილად თვლი – გრძნობ, ძალა უფლის ტოლი, სწორი როგორ გეძლევა და ყველა გიყვარს ეფერები გულით და სულით, უნეტარესი სიხარულით სული გევსება, თავისუფლებაც ამას ჰქვია, უფლის გზაზე სვლაც, თვით სიყვარული უფლისაც და რწმენა უფლისაც.

ცოცხალი სული

ტკივილებით დაღლილ სულის შველა, უფალს ძალუძს, ლოცვა ტანჯვას განაქარვებს, სულს სიმშვიდით ატკბობს, უფალ–ღმერთთან საუბარი, ყველა წუხილს ადნობს, მშვიდ სივრცეებს მოიზიდავს, გახვევს მასში, გათბობს.

ტკივილებით დაღლილ სულის შველა უფალს ძალუძს, სულს სიცოცხლეს უფლის მადლი ანიჭებს და ავრცობს.

მირანდა კოზმანაშვილი

ფერთა ნავსაყუდელი

უცხო ნახატი კედლიდან მიმზერს,
მოჩანს სამყარო აყვავებული,
სხვა სურათებში გამოკრთის ლაღად
სივრცე ფერებით ჩამუქებული.
დაღონებულა ძველი მოლბერტი,
მხატვრის გონება ნახატთ შეჰფერის,
ზესაიდუმლო ძაფით ნაქსოვნი,
გამხდარან ფერთა ნავსაყუდელი.

მწუხრის პაემანი

შებინდებისას ზეცას გავყურებ,
სიმწუხრის ჟამი ქალაქს იბუდებს,
მთვარე ჩუმი ხმით ამბავს მიყვება,
ვითარც ერთადერთ მესაიდუმლეს.
არავინაა ჩვენ ორის გარდა,
ყოველ საღამოს დათქმულ დროს მელის,
მეც ვუზიარებ სიმწუხრეს ჩემსას,
ეს აღსარება საქმეს არ შველის.
ორივე ერთი სერობის წევრნი,
სიბნელ–სინათლის დარაჯად მყოფნი,
ერთურთის ხილვით დიდად დამტკბარნი,
ვერა აღვიქვამთ დროს, როგორ მიქრის.

რად ქრება?

თვალებსა მჭრიან უცხო ფერები,
ყურთ მომესმება რეკვა ზარების,
რა მელის ნეტავ, ვერ გამიგია,
გოლგოთას გზა თუ, გზა ნეტარების,
უცხო სამყარო თვალით უნახი,
იქნებ სულ სხვაა ყოველდღიური,
აქ დავიბადე სხვაგან მოვკვდები,
ეს ყველაფერი არის ღვთიური,
სილამაზე ხომ თვალი სხიბლია,
ნეტართ ვალების არის ლანდება,
ო, ხშირად მზარავს ამაზე ფიქრი
ღვთით ანთებული კვარი რად ქრება?

შესატყვისი ფერი

წარმტაცი არის თვალით ნანახი,
მაზედ მითქვია ბევრზედა ბევრი,
მომივა დრო და ის გამეყრება,
ვითარც ცოდვებსა მონასტრის ბერი.
თვალი ვერ ჩასწვდა, გონით ვეძიე,
ვერსად ვიპოვე არსისა ფსკერი,
დრო შეიცვალა, გონებამ ჰპოვა.
ჩემო გრძნობების შესატყვი ფერი.

ვაჟა კოზმანაშვილი

რა დედამ შობა?

გათხოვდი, წახველ და გამიყოლე,
მარიონეტი მოახლედ თანა,
პანღური ჯილდოდ დავიმსახურე,
იმ ჟამსა გედგა ოქროსი ხანა,
არავის სჯერა შენი ნათქვამის,
ვიგრძენ დაიწყო ყინულის დნობა,
საკმარისია რაც თავს გადამხდა,
გამოავლინე ველური გრძნობა.
ერთხანს ვირწმუნე შენი ნათქვამი,
თვალი ახილა გაცვეთილ ყოფამ,
შემომეჯარა ქალური სითბო,
ვთქვი: – დალოცვილი რა
დედამ გშობა.

სიმწუხრის დამღა

რა გემართება ჩემო ნუგეშო,
უჩემობასა ფარულად ჩივი,
გული ძველ ადგილს აღარ ჩერდება,
დროგამოშვებით მოთქმითა ტირის.
წამით შეჩერდა, რა დაემართა?
ცხოვრება მიდის ერთთავად აღმა,
ცრემლი შეიშრე, გამოიდარე,
ჩამოიცილე სიმწუხრის დამღა.

არ მინდა

ასე მგონია გამოგიტირე,
ცხოვრება იწყე ახლად, თავიდან,
მწარე ყოფილა მოგონებები,
სასწაულივით გაქრა, წავიდა.
ხელის წინ გაწვდა მოწყალებისთვის,
არა მჩვევია, ახლაც არ მინდა,
ჩამოძენძილის, გაბურძგნულის მზე
მთას მიეფარა, მალე ჩავიდა.
ჟამი მოჰყვება თავის ძველ სავალს,
გული ილევა ნელა, წვეთებად,
ქარონი ცელით მუდამ კუდში მდევს,
ჯერ ადრე არის ვერა მეხება.
ხშირად გონება ნათელს მოიცავს,
არსით დავფრინავ უცნობ
ღრუბლებში,
სიმწუხრის გრძნობა ნელა მნელდება,
დამშვიდებაში მშველის ნუგეში.
არა მიგვრძვნია არვისგან სითბო,
მიუსაფარსა, მაგრამ მადლიანს,
უცხოდ იმზერის ჩემი ქცევანი,
ვერ შეუცვნია ის ადამიანს.
მომაგონებენ ვით ცოდვილის შვილს,
არ ამომშლიან დიდხანს დავთრიდან,
თუ ნაღველს მოგგვრით,
დაგარდიანებთ
თავს აღარ ჩავთვლი ამ
ყოფის გმირად.

მდგარი ჭიშკართან

სალამს მოგიძღვნი ნაწყენო ქალო,
მზე ჩამავალი თავსა
გრძნობს ლაღად,
სტუმარს მასპინძლობს
გრძნეული ციხე,
აღმოსავლეთით იმზერის სადღაც.
ალმაცერადა შეხედავს კედლებს,
თვალს გააყოლებს
დაწნულსა მთებსა.
– სად ხარ? – მოგიხმობ,
არა მპასუხობ,
მორჩილი არ ხარ ჩემი ნებისა,
შუქი ჩააქრე, ბნელს შეეფარე,
დაგროვდა ბოღმა, გადიქცა ზღვათა,
ყური მიუგდე, კარს გიკაკუნებს...
ჩემი აჩრდილი იდგა ჭიშკართან.

ეთუნა ფერაძე

ფანჯრის იქით

ფანჯრის იქით სევდიანი ქარი,
ფანჯრის აქეთ მარტოსული ქალი.
ფიქრებს ისევ გაუმართავთ კრება,
სიყვარული სიზმარივით ქრება.
ჩემთან ისევ მონატრება მოდის,
და ევსება მოთმინება ლოდინს.
.....
ფანჯრის იქით სიმარტოვის ქარი,
ფანჯრის აქეთ მარტოსული ქალი.

***

წვიმის ფარდას დაუსველდა თმები
და ფანჯრებში აღწევს წვიმის სუნი,
ოთახებში მიდის ცეკვა ტანგო,
აბობოქრდა ქაოსური სული.
წვიმის თქეშში მოცურავე ფოთლთ
დაუკარგავთ იმედები ძველი...
სველ ხეებზე ალბათ მალე მოთოვს,
მე კი ისევ აპრილის თვეს ველი.

***

კვლავ მოწყენილი ავხედავ ზეცას
და მონატრებით გავხედავ ბილიკს...
სად დამეკარგე ამდენხანს ნეტავ?
რა ვუყო ბედის უცნაურ ქილიკს?
ტირიფი ტირის თოთო ბავშვივით,
მეც ვერ ვიკავებ ცრემლებს სევდიანს,
მაგრა მე მჯერა – ოცნების ბაღში
ვარდები ისევ აყვავდებიან.

***

სიცივისგან გათოშილ თითებს,
ისევ გაითბობ შენივე ამონასუნთქი
ნახირორჟანგით...
შეცივნული და მარტოსული,
ჩამოჯდები
რომელიმე შენობის წინ და კვლავ
ჩაფიქრდები...
დაიღლები: ფიქრით, სიმარტივით და
ისევ მოხვალ, მოხვალ გულნატკენი
და იმედგაცრუებული, ჩემს ქაოსურ და
ბობოქარ სამყაროში...
მაგრამ მე გეტყვი, რომ როცა
შენს სახელს „ც“–ს დაუმატებენ
იქიდან წადი.
ამჯერად მე შენს სახელს „ც“–ს
ვუმატებ და ახლა „შენც“ გახდი
P. S. წადი.

ცირა ნუცუბიძე

გვიყვარდეს

სიყვარულზე ძლიერი
ქვეყნად არაფერია,
იმას არ უცხოვრია
ვისაც არ ჰყვარებია.
ნიჭი ერთგულებისა
სიყვარულის ნდობაა,
დიდი ბედნიერება
და უზადო გრძნობაა.
სიყვარული ღმერთია,
და სიცოცხლის არსია,
იგი სულის ძალაა
და ღვთიური მადლია.
სიხარულს ვანიჭებდეთ,
სიყვარულით ვტკბებოდეთ,
მის გარეშე ვერ ვძლებდეთ,
უიმისოდ ვკვდებოდეთ.

წარდგენილია ნობელის პრემიაზე







ეს-ესვლ!

რევაზ მიშველაძის რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „მაცნე“. 2016 წელი) წარდგენილია 2017 წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად.

რომანი უკვე გამოქვეყნდა რუსულ ენაზე და ამჟამად ითარგმნება ინგლისურ, შვედურ და სომხურ ენებზე.

ეთერ ზარიძე

ბატონ რევაზ მიშველაძეს

ღმერთმა დაგლოცოს ბრძენკაცო,
სიდარბაისლით ცნობილო,
დიდებულ ქართველ რაინდთა
ზღაპრიდან გამოხმობილო.
ერის ტკივილის მოზარევ,
მისი წყლულების მხვეველო,
სიკეთისათვის მებრძოლო
და უკან დაუხეველო.
გაჭირვებულთა ქომაგო,
თავაშვებულთა მძლეველო,
ჩვენს ბედკრულ საქართველოსთვის
ფიქრით ღამეთა მთეველო.

ასწელს სიცოცხლეს გისურვებ,
სიკეთევ დაულეველო,
ყველა ღირსებით შემკულო,
ფოლადო დაუმსხვრეველო.

მურმან ჯგუბურია

რევაზ მიშველაძის 25-ტომეულზე,
რაც, სამწუხაროდ, ბევრს შეშურდა
„შური – წუხილი სხვისა კეთილსა ზედა" (საბა)

შურით ვსუნთქავთ და ვფიქრობთ,
შურია შვება ჩვენი...
თითქოს უკვდავი ვიყო,
ჩემს სიკვდილს ნატრობს №–ი!

დავით იაკობიძე

დოდოს (ქალბატონ ლიდა სტვილიას)

...ქალს, ზევსის ტოლას
მორჩილად ვუსმენ,
...ხმა აღარ მოდის
ჭექა–ქუხილის,
მძიმე დარდები
მაწვება გულზე,
უსაზღვრო არის
ჩემი წუხილი!...
გიზგიზა ცეცხლი
დარის–ავდარის,
ჩაუქრობელი
ქალი–ხანძარი!–
...ვერ მოგისყიდეს
ოქრო და ვერცხლით, –
ყველგან სიმართლის
აგე ტაძარი!
...დაუბრუნდება,
დაუბრუნდება
უფრო ხმიერი
შენს ხმას – ხმა ზარის!!!
შენი სიმღერა
არ დაჩლუნგდება!
მას არ ექნება
არსად საზღვარი!

5 დეკემბერს 17 სთ-ზე მწერლის სახლში (მაჩაბლის 13) გაიმართება ბაღათერ არაბულის წიგნის, „ხევსურული საგა“ წარდგინება.

ორი აღიარება ერთ კვირაში

2016 წლის 17 სექტემბერს ირანის ისლამური რესპუბლიკის თავრიზის უნივერსიტეტში, ჩატარდა უდიდესი თანამედროვე ირანელი პოეტის შაჰრიარის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც პოეტსა და ირანისტს ნომადი ბართაიას, კულტურულ ურთიერთობათა სფეროში გაწეული ღვაწლისათვის, მიენიჭა შაჰრიარის მედალი.

ლიდა სტვილია

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ლიდა ვასილის ასული სტვილია.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ჩინებული შემოქმედი, დიდებული ქალბატონი, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში უდრტვინველად ზიდა მისი წილი ჯვარი და მაინც სიკეთისა და სათნოების, პატიოსნებისა და ერთგულების ჭეშმარიტ განსახიერებად დარჩა.

ლიდა სტვილია დაიბადა 1938 წლის 1 მაისს მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ალექსანდრე პუშინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს დაასრულა.

ლიდა სტვილია სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის დრამატული თეატრის ქართულ დასში, თბილისის აბრეშუმკომბინატის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის ბიბლიოგრაფად, გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორად. სადაც კი იმუშავა ამ უსათნოესმა ქალბატონმა, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა პროფესიონალიზმისთვის, ერთგულებისთვის, საქვეყნო საქმეების ჩუმად და მუხლჩაუხრელად კეთებისთვის...

ლიდა სტვილიას სამწერლო დებიუტი 1955 წელს შედგა, როდესაც მარტვილის რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ სოფელში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ძირს რა დახრის“ . მას შემდეგ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი დაუღალავად იღვწოდა ივერთა მინის სადიდებლად, იღვწოდა უანგაროდ და თანამოძმეთ იმის მშვენიერ მაგალითს აძლევდა, ჭეშმარიტ შემოქმედს, თუ როგორ უნდა ჰქონდეს ამოკვეთილი გულის ფიცარზე ერთადერთი სიტყვა – საქართველო.

ლიდა სტვილიას პოეტური კრებულები „დილა ვენახში“ , „კოლხეთის მთვარე“ , „კოლხეთის ციცინათელები“ , „ბედნიერების ბუდე“, „კლდის ყვავილები“ , „ცხრა სიყვარულს მოგიტან“ მოწონებით მიიღო ქართველმა მკითხველმა. ამ კრებულებში შესული ლექსები სისატურასა და ოდოიას ჰანგებითაა შთაგონებული. ისინი თარგმნილია უკრაინულ, ყაბარდოულ, ოსურ, აფხაზურ, რუსულ ენებზე. ქალბატონმა ლიდამ თავადაც ჩინებულად თარგმნა ყაისინ ყულიევის, კოსტა ხეთაგათის, გაფეზის, პლატონ ბებიას ნაწარმოებები.

ლიდა სტვილია პატარების საყვარელი პოეტი იყო. სწორედ ნორჩების მუდმივ თანამგზავრად იქცა მისი საყმაწვილო ლექსების კრებულები „ჰარლალოდა“ , „დევთა ნადარბაზევი“ , „ძილისგუდას, ჭამისგუდას და ზღაპრისგუდას ამბავი“ , „ღრუბლის სურათები“ , „ბალი დამწიფებულა“ , „წიგნი – ნახატებიანი“ ...

ლიდა სტვილიას ღვაწლი და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა შიო მღვიმელის, მაყვალა მრევლიშვილისა და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიები. არჩეული იყო სოფელ ხუნწის საპატიო მოქალაქედ.

ქართველ მწერლებს დიდხანს გვემახსოვრება ლიდა სტვილია – პოეტი, ბანოვანი, ჩვენი ღიმილიანი, ერთგული და უღალატო მეგობარი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს პოეტ ზოია ვაშაკიძეს ძმის

ჯემალ ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ იუწყებიან რომ გარდაიცვალა მწერალი

გენო კლდიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქართული გზეთი
№11
ფასი 1 ლარი
1-31 დეკემბერი
2015
მისამართი: მაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან
მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru
9 771987 698009